სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 23 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული, შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 153 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 153

გულ დათუთქული დედა ეფროსინე ოქროპირის ასული სალუქვაძისა და ღრმა მწუხარებაში მყოფნი მამა ნიკიფორე ვასილის ძე სალუქვაძე, ბიძანები სიმონ და ნოე სალუქვაძეები, ალექსანდრე, ნესტორ, ვანო და ისაკი ფანცულიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას თფილისის მიხაილოვის საავადმყოფოში, ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტის

ვალერიან (ვალიკო) ნიკიფორეს ძე სალუქვაძის

რომელსაც გაასვენებენ ქალაქ ფოთში საკუთარ სახლში. დაკრძალვა იქნება ამ თვის 25 ს დილით ხუთშაბათს, პანაშვიდები ყოველდღე. (3—3)

23 ივლისს საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში

შესდგება კრება

ქ. თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი. დღის წესრიგი: დღევანდელი მომენტი. მომხსენებელი იქნება ირ. გ. წერეთელი.

1918 წ. 26 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა"

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ, სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით, რედაქციის და კანტორის მისამართი: ქ. თფილისი, ბარონის ქუჩა № 6.

(1—1) რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

## სახელმწიფოებრიობის პრინციპები

თანამედროვე ინდივიდუალურ პრინციპზე აგებული ბურჟუაზიული საზოგადოება ვერ ეგუება სოლიდარობის პრინციპს. ფულის მეურნეობის წიაღში ჩაქსოვილი ძირითადი პრინციპი კონკურენციისა, მეტოქეობისა, ერთმანეთის გასრესისა და გაქელვისა, არსებითად ეწინააღმდეგება სოლიდარობის ქადაგებას.

თანამედროვე სახელმწიფო, აგებული ბურჟუაზიულ ეკონომიურ ურთიერთობაზე, თვითონაც ერთიანად გაჟღენთილია ამ კონკურენციის პრინციპით.

სახელმწიფოს პოლიტიკური მექანიზმის მთელი სიძლიერე მიმართულია იქითკენ, რომ ეკონომიურ განვითარებას თავის ქვეყნისას ხელი შეუწყოს და უკვე ეს მიზანი აძლევს მას განსაკუთრებულ ელფერს.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ სახელმწიფოს მოღვაწეობაში უმთავრესად ეგოიზმია სახელმძღვანელო პრინციპი და არა სოლიდარობა.

თვით სახელმწიფო ამიტომ საბრძოლველი, საომარი ორგანიზაციაა, სხვა პოლიტიკურ ერთეულების წინააღმდეგ მიმართული.

იგი ამით გამოხატავს პრინციპს ბურჟუაზიულ კლასების ურთიერთშორის ქიშპობისას, დაუცხრომელი ბრძოლისას.

და ბურჟუაზიულ მოღვაწეებს, რომელთაც სურთ შეადგინონ სახელმწიფო თვისად—მის მთავარ ღირსებად სწორედ მეზობლების დაჩაგვრა და დასუსტება მიაჩნიათ.

ასეთია ულმობელი კანონი ბურჟუაზიულ მეტოქეობისა. „ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს". ლაღადებენ იგინი და სურთ ცხონებულთა შორის თვით მოხვდენ, წაწყმედა კი სხვას მოახვიონ თავზე. თანამედროვე საზოგადოება, რომ ერთფეროვანი იყოს და პრინციპი ბურჟუაზიულ მეტოქეობისა ერთად-ერთი მამოძრავებელი ძალა—ცხოვრება ჯოჯოხეთათ გადაიქცეოდა და საზოგადოებაში ფილოსოფოსის გობსის თქმულება გაბატონდება: ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო. კაცობრიობა ერთი მეორეს დასჭამდა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება თავის წიაღში ატარებს მოწინააღმდეგე პრინციპსაც. იგი თვითონ განხორციელებული წინააღმდეგობაა, მასში ერთი-მეორის დიამეტრალურათ დაპირისპირებული და ერთმანეთის უარისმყოფელი ძალები და პრინციპები მოქმედებენ.

პრინციპს თავშეუკავებელ კონკურენციისა და დაჩაგვრისა, წინ უდგას მეორე პრინციპი კლასთა სოლიდარობისა და თანხმობისა. ამ მეორე პრინციპის მატარებელია დემოკრატია და მისი ავანგარდი მუშათა კლასი.

თუ ბურჟუაზიის პირდაპირი ტენდენცია ერთმანეთის ჭამიობისკენ მიისწრაფის, სამაგიეროთ მუშათა კლასის მთავარი ტენდენცია, ერთმანეთთან კავშირისა და სოლიდარული მოქმედების წარმომშობია.

და ამ წინააღმდეგობათა შეჯახებისაგან, ამ ორ მოპირდაპირე ძალთა ურთიერთ განწყობილებისაგან იქმნება სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ხაზი.

იდეა მშრალ მეტოქეობისა—იზნიქება და რამდენიმეთ მაინც გზას აძლევს სოლიდარობას.

ამ რიგათ არსებობს ორი მთავარი პრინციპი სახელმწიფოებრივ პოლიტიკისა და მათი ამა თუ იმ სახით შეერთებისაგან წარმოსდგება კონკრეტიული პოლიტიკა კონკრეტიული სახელმწიფოსი.

ცხადია იქ, სადაც ბურჟუაზიული კლასები განუყოფელათ ბატონობენ სახელმწიფოში პოლიტიკაც ერთიანად აგრესიული იქნება, როგორც გარეშეთათვის, ისე შიგნით—საკუთარი დემოკრატიისთვის, რადგან მეტოქეობის პრინციპი ვერ ითმენს მუშათა სოლიდარობის გამოჩენას ვერც ერთ სფეროში.

სადაც დემოკრატია მოღონიერებულია, იგი თავის კვალს აჩენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე; სადაც იგი გაბატონებულია, იგი ერთიანათ დემოკრატიულ პრინციპს უნდა ატარებდეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიაც. იტყვიან, ეს ხომ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ბუნებას, ეს ხომ ჩვენი დარღვევაა სახელმწიფოებრიობისა. დიახ, თუ გნებავთ ეს დარღვევაა ვიწრო ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკის, მარა იმავე დროს ეს განმტკიცებაა დემოკრატიულ სახელმწიფო სხეულის და შესაფერი პოლიტიკის.

დემოკრატიას აქვს უფლება სახელმწიფო ორგანიზმსაც ის სახე და ფორმა მისცეს, როგორც მის ინტერესებს შეეფერება. მას აქვს უფლება სახელმწიფოს ისეთი შინაარსი ჩაუდოს, როგორც ფართე მასსის ინტერესები მოითხოვენ.

ამიტომ თუ ბურჟუაზიის ბატონობა აქცევს სახელმწიფოს აგრესიულ იდეის მატარებლათ და გარეთ მაცქერლათ, დემოკრატიის ბატონობა ხდის მას სოციალურ, შინაგან რეფორმათა მთავარ იარაღათ და შინაგანი, ხალხოსნური ძლიერებით ხდის მას შეუვალად გარეშე მტრებისათვის. იგი გარეშეთა დაქცევაზე არ ფიქრობს. იგი ამიტომ აგრესიული არაა.

ბურჟუაზიას უნდა სახელმწიფო თავდასხმის მწარმოებელი, დემოკრატია კი მხოლოდ თავდაცვით კმაყოფილდება. თავდაცვა ეს უაღრესათ დემოკრატიული საქმეა. ტყუილა კი არ იყო, რომ ამ საშინელი მსოფლიო ომის დაწყებისას ყველა სახელმწიფო თავის თავს თავდამცველათ აცხადებდა და მოპირდაპირის თავდამსხმელათ. ამით იგი დემოკრატიის მთავარ ძარღვს ეხებოდა და ფართო მასსის მიმხრობას ცდილობდა. იმპერიალისტური ქვეყნებისათვის ეს იყო თვალთმაქცობა და დიპლომატია. ჭეშმარიტათ დემოკრატიულ ქვეყნებისთვის ეს უნდა გადაიქცეს ნამდვილ საქმეთ და გულწრფელ სახელმწიფოებრივ ლოღვაწეობის ქვაკუთხედათ.

დემოკრატია არავის ედავება, მაგრამ არც არავის გაექელვინება. იგი ხალხის და მასსის ინტერესთა სოლიდარობას აყენებს პირველ რიგში, ამ ძალაზე ეყრდნობა, და ამიტომ მეგობრულ განწყობილების შექმნა ყველა დემოკრატიასთან მისი მთავარი საზრუნავი საგანია. ცხადია ეს არის არა დარღვევა სახელმწიფოებრიობის, როგორც ამას გაჰკივიან რეაქციონური და ბურჟუაზიული წრეები, არამედ დარღვევა მხოლოდ აგრესიული სახელმწიფოებრიობისა და შენება ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, არა მარტო გარეგანი ფორმით, არამედ შინაარსითაც.

საქართველოს რესპუბლიკას სათავეში უდგას დემოკრატიის ავანგარდი, მუშათა კლასის პარტია და ცხადია მისი პოლიტიკაც დემოკრატიის პრინციპებს ვერ გადაუხვევს.

## პ რ ე ს ა

„კავკაზსკოე სლოვო" მეტათ გაჯავრებულია ჩვენი წერილით, რომლითაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მივმართეთ ჩვენი პოზიციის განსამარტებლათ. იგი რას არ გვაბრალებს ამ წერილის გამო. თქვენ ის განგებ დამალეთ, რომ ჩვენთვის შეძლება მოგვესპოთ პასუხის გაცემის და ამით შესაფერი ეფექტი მოგვეხდინათო. ერთი სიტყვით, გვაბრალება იმას, რომ შეცდომაში შეგვიყვანია რუსეთის ჩვენი თანამოძმე პარტია და ამხანაგები.

ჩვენ ამით დარწმუნებული ვართ, რომ „კავკ. სლოვო" ახლაც არ დააყოვნებს თავის შესანიშნავი ინფორმაციით გამოასწოროს ეს ჩვენი შეცდომა. იგი ალბათ მიაწვდის ისეთ ცნობებს, რომელიც სომხის პლუტოკრატიის და რუსის ჩინოვნიკობის თვალსაზრისით გააშუქებს ამიერ კავკასიის ამბებს.

მაგრამ რატომ ჰგონია ამ გაზეთს, რომ მისი ინფორმაცია ისე უცოდველია, რომ „დაშნაკციუტუნის" პარტიას რუსეთში ვერ იცნობენ, რომ ამიერ-კავკასიის ამბების შესახებ—ჩვენს ამხანაგებს რაიმე ცნობები არა აქვთ გარდა იმ წერილისა?

ერთი, რომ იმ წერილის ყოველი დებულება არა ერთხელ იყო გამოთქმული ჩვენს პრესაში, განცხადებული თვით სეიმის და შემდეგ საბჭოს ტრიბუნიდან, სწორეთ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებში; ḓ სწორეთ ამიტომ ჩვენ ქართულათ იგი ახლაც არ მოგვიყვანია მთლიანათ ჩვენი მკითხველებისათვის. მისი შინაარსი ისედაც ყველასთვის ცნობილია.

მეორეც ისა, რომ ამ წერილის შედგენის დროს და იმ ისტორიული მომენტში, როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა, აქ იყო ჩვენთან წარმომადგენელი რუსეთის ს.-დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა, რომელმაც ყოველივე პირადათ ნახა, გაიგო, გაიცნო, მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც მოუსმინა და მაშასადამე შეეძლო სრული ინფორმაცია გაეწია რუსეთში დაბრუნების შემდეგ იქაურ ამხანაგებისათვის.

მხოლოდ ეს წარმომადგენელი არ შეკითხებია „კავკ. სლოვოს", არ მოუსურვებია მისი აზრის მოსმენა.

ცხადია იმიტომ, რომ მას დემოკრატიის აზრი და მოწმობა ეინტერესებოდა და არა პლუტოკრატიის.

## საქართველო და მისი გზა

III

**დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალისტური მთავრობა.**

ყველა შეგნებულმა და განათლებულმა სოციალისტმა იცის, რომ რუსეთის რევოლიუცია არის რევოლიუცია ბურჟუაზიული. მარტო ბალშევიკები გაიძახიან და არწმუნებენ შეუგნებელ გულუბრყვილო მასას, რომ დღეს რუსეთმა უკვე გადადგა ნაბიჯი სოციალისტური წესწყობილების შექმნისაკენ. განსვენებული ჩვენი მასწავლებელი გ. ვ. პლეხანოვი არა ერთხელ გვაფრთხილებდა, რომ ბალშევიკები გაუსწორებელი უტოპისტები არიან და მათი სოციალ უტოპიური შეხედულებიდან გამომდინარეობს მათი ბუნტარული ტაქტიკაცო. ეს აშკარათ დაგვიმტკიცა ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში.

ბალშევიკურმა რუსეთმა ნათლათ დაგვანახა, რომ რუსეთი არ არის მომზადებული არა თუ სოციალისტურ წესწყობილების შექმნისათვის, არამედ არ არის მომწიფებული თვით დემოკრატიული რესპუბლიკისთვისაც.

ჩვენ, მარქსისტებმა ვიცით, რომ ყოველი ეკონომიურ საფეხურს უნდა შეეგუებოდეს შესაფერი პოლიტიკური ფორმაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიური ცხოვრების და ფორმის შუა აუცილებელია შეჯახება, რასაც შედეგათ მოსდევს რევოლიუცია და სამოქალაქო ომი.

დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს ეკონომიურად მრავალფეროვან ქვეყანას. მის უზარმაზარ სივრცეზე არის რაიონი სადაც გაჩაღებულია მსხვილი მრეწველობა, არის კუთხეები, სადაც სჭარბობს წვრილი ბურჟუაზია, არის მთელი ოლქები წმინდა სოფლის მეურნეობისა ისევ განათლებულ ფეოდალთა ბატონობით, რომელთაც დღესაც აქვთ გავლენა, როგორც პრუსიაში ფეოდალებს, შინაურ პოლიტიკაზე.

ამ გვარ ეკონომიურ საფეხურზე მდგომ სახელმწიფოში არა თუ სოციალისტური წესწყობილების, არამედ თვით დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებაც კი შესაძლებელია მარტო ცეცხლით და მახვილით, როგორც ამას სჩადიან ბალშევიკები.

ჩვენ ს ღრმა რწმენით კი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება, თუ იგი არ შეიქნება გერმანიის კოლონიათ, ჩამოყალიბდება კონსტიტუციურ ფორმაში, რაც სრულიად შეესაბამება რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას.

იგივე ითქმის ამიერ-კავკასიაზე. დემოკრატიული რესპუბლიკა ამიერ კავკასიისა შეკერილი იყო, როგორც ამბობენ რუსები, თეთრი ძაფებით.

მართლაცდაც, ადერბეიჯანის ფეოდალი, ჭარარატის ბურჟუა-პლუტოკრატი და საქართველოს დემოკრატი ვერ მოთავსდებოდნენ ერთ პოლიტიკურ კალაპოტში დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. მათ მიერ ხელოვნურად შეკრული პოლიტიკური კავშირი ბუნებრივათ უნდა დაშლილიყო.

რაც ითქმება რუსეთზე და ამიერ-კავკასიაზე, არ ითქმის საქართველოს შესახებ.

საქართველო ეკონომიურად წააგავს შვეიცარიას, მიუხედავათ ეკონომიური ზოგიერთი მხარეთა განსხვავებისა, ეს ორი ქვეყანა ხასიათდება როგორც წვრილ ბურჟუაზიული სახელმწიფოები. როგორც შვეიცარიაში, ისე საქართველოში ფეოდალიზმი ძირიან ფესვიანათ ამოფხვრილია. როგორც იქ, ისე აქ ჩვენში მეურნეობას სოფლათ ატრიალებს წვრილი და საშუალო მემამულე, ქალაქში ეკონომიურ მთავარ ძარღვს შეადგენს წვრილი ბურჟუაზია.

აი ეკონომიური ბაზისი ამ ორ ქვეყანაში. ამ ბაზისზე შექმნილი საწარმოვო და სამოქალაქო ურთიერთობანი თავისუფლათ ვითარდება დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში, რომლის სათავეში დგება ბურჟუაზიული დემოკრატია შვეიცარიაში, მხოლოდ საქართველოში კი წმინდა სოციალისტები. ბურჟუაზიული წესწყობილება და სოციალისტური მთავრობა!

ეს მოვლენა იწვევს ერთგვარ გაუგებრობას, თითქოს არ შეესაბამებოდეს ცხოვრების სინამდვილეს.

მართლაც, ორში ერთი უნდა იყოს: სოციალისტების ჩადგომა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის სათავეში ხდება ან ცეცხლით და მახვილით, როგორც ეს არის ბალშევიკურ რუსეთში, ან განსაკუთრებული პოლიტიკური პირობების მიხედვით და დემოკრატიის რეალურ ძალთა განწყობილებით. თქმა არ უნდა ჩვენში სოციალისტების გაბატონება აიხსნება ამ უკანასკნელ გარემოებით. ავიღოთ ჩვენი პარლამენტის, ეროვნულ საბჭოს შემადგენლობა. იგი დაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკათ: ერთ მხარეზეა სოციალისტთა დიდი უმეტესობა სოციალ-დემოკრატების მეთაურობით, მეორეზე—უმცირესობა ნაციონალ-დემოკრატებისა. *) ვინ არიან, ან ვისგან შესდგება ნაციონალ დემოკრატთა პარტია?

ამაზე პასუხს იძლევა საქართველოს ეკონომიური სინამდვილე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველო ეკონომიურათ წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანას. მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალს ჯერჯერობით არა აქვს იქ დიდი ასპარეზი შექმნილი. ფეოდალიზმი ჩვენ მთავრობის მიერ მიღებულ აგრარული რეფორმის წყალობით სამუდამოთ ამოიშალა საქართველოს ცხოვრებიდან.

ამგვარათ, საქართველოს მამოძრავებელ ძალებს შეადგენენ ერთის მხრივ მუშები და ბურჟუაზიული დემოკრატია (საშუალო ვაჭრები, ხელოსნები, ნოქრები, სოფლის წვრილი მესაკუთრეები), მეორეს მხრივ ეკონომიურათ დასუსტებულნი, პოლიტიკურათ უძლურნი ყოფილი ფეოდალები-მემამულენი და თითებზე ჩამოსათვლელი ქართველი კაპიტალისტები. ვის მისდევენ პირველნი, ვის მეორენი? მუშები — სოციალდემოკრატიულ პარტიას, წვრილი ბურჟუაზია იგივე სოციალდემოკრატებს და სოციალ-ფედერალისტებს, სოციალ-რევოლიუციონერებს, რადგან დემოკრატია აშკარათ ხედავს, რომ ჩვენ პარლამენტში არ მოიპოვება სხვა, არც პარტია არც ჯგუფი, რომელიც შესძლებს დაიცვას მისი პირდაპირი ინტერესები ისე გულწრფელათ, ისე მედგრათ და თავგანწირულათ, გარდა სოციალისტებისა.

ვის აბარებენ თავიანთ ბედს, ვისზე ამყარებენ თავიანთ იმედებს მეორენი, ესე იგი ყოფილი ფეოდალები და კაპიტალისტთა ჯგუფი?

ნაციონალ დემოკრატებზე; თქმა არ უნდა, რომ ახლო მომავალში ეს კაპიტალისტები იძულებულნი იქნებიან გასწყვიტონ კავშირი ფეოდალებთან, რადგან ამ უკანასკნელთა მიზანს შეადგენს დაატრიალონ უკან ისტორიის ჩარხი, მაშინ, როდესაც მათი (კაპიტალისტთა) ინტერესები მოითხოვენ კაპიტალის წინმსვლელობას. ამიტომ რამდენათ ფეოდალები ახდენენ გავლენას ნაციონალ-დემოკრატიის იდეოლოგებზე, იმდენათ ეს პარტია გამოდის კონტრ-რევოლიუციურ როლში.

ამგვარათ, **დიდი უმეტესობა, თითქმის მთელი ერი, სოციალისტებს აბარებს თავის ბედს, მათ აყენებს საქართველოს მართვა-გამგებლობის სათავეში, გარდამავალი და დრო-მოჭმული თავად-აზნაურობა კი ნაციონალ-დემოკრატებს.** სცადეთ და ერთი წუთით გადააყენეთ სოციალისტები მთავრობიდან და ჩააბარეთ მართვა-გამგებლობა ნაციონალ დემოკრატებს. რა მოჰყვება შედეგათ? ის, რაც ბალშევიკთა გამეფებას რუსეთში: საშინელი სამოქალაქო ომი, ჩარევა უცხო, გარეშე ძალისა, და სისხლის მორევში ჩახრჩობა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისა.

ამას იტყვის ყოველი საღი მსჯელობის პატრონი და მცოდნე დღევანდელი საქართველოს სინამდვილესი. ამიტომ ფრიად გვაკვირვებს ჩვენ, როდესაც გერმანელი პუბლიცისტი, მოწამე ბალშევიკების ბატონობის საშინელი შედეგებისა რუსეთში, ამბობს აქ, საქართველოში, თავის მოწინავე წერილში „კავკაზიშე პოსტის" 32 ნომერში, სხვათა შორის, შემდეგს: „საქართველოს სჭირია დღეს ქართველი მამულიშვილები. მხოლოდ მათ შეუძლიანთ იხსნან ქვეყანა, თუ კი ისინი აღჭურვილნი იქნებიან შეგნებით, ცოდნით და გამოცდილებით... საქართველო საჭიროებს მამულიშვილებს, რომლებიც მთელი ხალხის კეთილდღეობას უფრო მაღლა დააყენებენ, ვიდრე თავიანთ პარტიულ ინტერესებს".

როგორც ხედავთ, ავტორის აზრით, გამოდის, რომ დღევანდელი სოციალისტური მთავრობა არ არის ნამდვილი გამომხატველი ქართველი ხალხის სურვილის, იმედების, მისწრაფებისა, არამედ ნაციონალ-დემოკრატები, რომელთაც ნაციის უმცირესი ნაწილი მისდევს.

გერმანელები ჩვეულნი არიან დაამყარონ თავიანთი მოქმედება, აგონ ტაქტიკა ნაციის რეალურ ძალთა განწყობილებაზე. ზემოთ კი დავანახვეთ მკითხველს, რომ რეალურ ძალთა განწყობილებამ საქართველოში, ერის დიდმა უმეტესობამ გამოუცხადა ნდობა სოციალისტებს და ჩააყენა სახელმწიფოს სათავეში.

ამიტომ ჩვენ, წინააღმდეგ „კავკაზ. პოსტის" პუბლიცისტისა ვიტყვით, რომ თუ სოციალისტები აუხვევენ გვერდს ხალხის სურვილს, ესე იგი გადასდგებიან მთავრობიდან და ამით ჩამოშორდებიან ერის კეთილდღეობის გზას, მაშინ იგინი იქნებიან მოღალატე ხალხისა და რევოლიუციის წინაშე და არა ნამდვილი მამულიშვილობის გამომჩენი, რაზედაც მიგვითითებს „კავკ. პოსტის" პუბლიცისტი.

ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დღევანდელი საგარეო და შინაგანი პოლიტიკური პირობების მიხედვით ერთად-ერთი ძალა, შემქმნელი ჩვენი დამოუკიდებლობისა, დამცველი რევოლიუციის მონაპოვართა და ხალხის კეთილდღეობისა, არის სოციალისტური მთავრობა. გარეშე ამ ძალისა, გარეშე სოციალისტური მთავრობისა, დღევანდელ პირობებში არ არის ხსნა საქართველოსი და მისი ბედისა.

ქ. კახელი.

*) პარლამენტის ეგრეთ წოდებული უპარტიო ჯგუფი და რადიკალ-დემოკრატები აქ ანგარიშში მისაღები არ არის: საზოგადოთ უპარტიო ხალხი ყოველ ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენს უსიცოცხლო და უნაყოფო მოვლენას. რაც შეეხება რადიკალ-დემოკრატებს, მართალია მათი არსებობა ამართლებს და ადასტურებს საქართველოს ეკონომიური სინამდვილე, მხოლოდ რადგან ახლახან გამოჩეკილია არა აქვთ არც ძალა, არც გავლენა ხალხზე.

იტყვიან, ეროვნული საბჭო არ არის შემდგარი არჩევნების სწორე წესით. მართალია, მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნებიც პარლამენტის შემადგენლობას ბევრათ არ შესცვლის, რადგან დღესაც მუშათა და გლეხკაცობის ფართო მასსა მისდევს და ნდობას უცხადებს სოციალ-დემოკრატიას. ქ. ქ.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

21 ივლისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. დილით ინგლისელებმა იერიშები მოიტანეს მეტერენზე, სადაც მტერმა გამაგრება შესძლო. სხვაგან მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ მდ. ენსა და მარნას შუა ბრძოლაა. მტერი ძალებს იკრებს, რომ შესძლოს ჩვენი ფრონტის გარღვევა. მტრის ჯავშნიანი ავტომობილები შემოიჭრენ დილით ჩვენს ხაზში; მტრის მიერ მოტანილი იერიშები სხვადასხვა ალაგას მოვიგერიეთ მდ. ენსა და ურკს შუა მტრის იერიშები უნაყოფო გამოდგა. ხარტელეს ჩრდილოეთით მტერს უკან დავახევინეთ. მარნის სამხრეთით ზომიერი საარტილერიო სროლა იყო მთელი დღე. მორეილის სამხრეთ-აღმოსავლეთით განახლებული იერიშები მოვიგერიეთ. ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები მარნის სამხრეთის ნაპირიდან წამოვიყვანეთ ჩრდილოეთისაკენ. რეიმსის სამხრეთით და დასავლეთით უმნიშვნელო ბრძოლაა. სუენის ჩრდილო-დასავლეთით ფრანგების იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირად გავფანტეთ მცირე რაზმი. კატრანთან ჩვენ იერიშით მივედით აჯანყებულებზე და უკან დავახევიეთ დიდი ზარალით. აქ ხელთ ვიგდეთ დიდძალი იარაღი და სურსათი.

**ბერლინი.** მდ. ენსა და მარნას შუა მიუხედავათ იმისა, რომ ფრანგთა იერიშები მოვიგერიეთ, სასტიკი ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი.** სასტიკი ბრძოლა ენსა და მარნას შორის გრძელდება. მარნაზე გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენ ჯარს წინსვლის დროს. ახალ-ახალი ჯარები მოჰყავთ ჩვენს წინააღმდეგ. მიუხედავათ სასტიკი წინააღმდეგობისა, საფრანგეთის ჯარებმა მტერს მდინარეს მეორე ნაპირზე დაახევია. გერმანელ ჯარებს დიდი ზარალი მოსდით. სასტიკი ბრძოლაც ტაგიურის ოლქში და მის აღმოსავლეთით. კორატვოდენის ტყეში ფრანგებმა წინ წაიწიეს. 18 ივლისს ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 ათასი კაცი. წამოვიღეთ 400 ზარბაზანი.

**პარიზი.** სამშაბათს, 17 ივლისს, პარიზის ციხის რაიონს გერმანელები ხელახლა უშენდენ ყუმბარებს შორს-სროლელი ზარბაზნებიდან.

**გერმანიის** რადიო სადგური იუწყება, რომ სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობების თანახმად ფინლიანდიის მთავრობამ განუცხადა ლანდსტიგის დეპუტაცი ას, რომ ის იძულებული იქნება სამსახურიდან გადადგეს, უკეთუ შემოღებული არ იქნება მონარქიული წეს-წყობილება.

მთავრობა იმ აზრისაა, რომ მხოლოდ მაშინ შესძლებს ფინლიანდია დამოუკიდებლობის შენახვას, უკეთუ იქნება აღდგენილი მონარქია. თუ ეს საკითხი უარყოფით გადაწყდა ლანდტაგში, მთავრობა პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან.

გერმანიისავე რადიო სადგურის ცნობით გერმანელებმა დიდი ზარალი მიაყენეს პარიზს შორს მსროლელი ზარბაზნების ყუმბარებით. სხვათა შორის პარიზის გაზეთებში ფრონტიდან მოსული ცნობების გამოუქვეყნებლობა 18 ივლისისა ახსნება ტელეგრაფის კავშირის გაწყვეტით ტელეგრაფით კავშირი პარიზსა და ჟენევას შორის გაწყვეტილია.

22 ივლისი.

**ბერლინი.** ანკრთან საარტილერიო სროლის შემდეგ ინგლისელები იერიშით მივიდნენ, რაიც მოვიგერიეთ. ებიუტერნის აღმოსავლეთითაც ინგლისელების იერიში უნაყოფო იყო. ენის ჩრდილოეთით მტრის იერიშებს კონტრ-იერიშებით ვუპასუხეთ. ენისა და მარნის შორის მტერი ცდილობდა წინ წამოწევას ახალი დივიზიების დახმარებით. მტერს უკან დავახევიეთ დიდი ზარალით. ამ ადგილებში ბრძოლის მთელი სიმძიმე ალჟირელებს, ტუნისელებს, მაროკოელებს და სენეგალებს დააწვა კისრად, ოენეგალები ფრანგების ჯარებს მოუძღოდენ წინ.

ფრანგების ჯარებში იყვენ აგრეთვე შავ-კანიანები, ინგლისელები და იტალიელები. მტერი ახლა საარტილერო მოუმზადებლათ გადმოდის შეტევაზე დიდი ძალებით, რასაც უკვე შეეჩვია ჩვენი ჯარი. სუასონის სამხრეთ აღმოსავლეთით მტერი დავამარცხეთ. ძლიერი საარტილერო მომზადების შემდეგ სუასონ შატო-ტიერის და ურ-ჯის ჩრდილოეთით მტერი 7 ჯერ მოვიდა იერიშით, მაგრამ ყოველთვის უკუ ვაქციეთ. ხარტენცის ჩრდილო-დასავლეთით მტერი დამარცხდა. ყველა ფრონტებზე აქ მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** მარკასთან მოვიგერიეთ მტრის ერთი მზვერავი რაზმის იერიში.

**ბერლინი.** ენსა და მარნას შორის მტრის იერიშები უნაყოფო იყო.

**ბერლინი.** გერმანიის წყალ-ქვეშა ნავებმა ჩასძირეს ხმელთა შავ ზღვაში 4 დიდი გემი. ამას გარდა ჩასძირეს 4 იალქნიანი გემი.

**სტამბოლი.** 19 ივლისი. ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის თანახმად სახალხო კენჭის ყრამ ყარსის, ბათუმის და არდაგანის ოლქებში შემდეგი გამოარკვია: ოსმალეთის მხარეზეა 83 ათასი ხმა, წინააღმდეგი 2 ათასი ხმა.

**ბერლინი.** გერმანიის მთავრობამ ცნობა მიიღო რუსეთის მთავრობისაგან, რომ მემარცხენე ესერების მეთაურები, რომლებიც გამოტყდენ გრაფ მირბახის მკვლელობის მონაწილეობაში, რიცხვით 13 კაცი დახვრეტილია. ამას გარდა, მრავლათ ძრიან დაპატიმრებული მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერები, რომელთა საქმის გამოძიება სწარმოებს, თუ რა წილი მიუძღვით მათ გრაფ მირბახის მკვლელობაში. ამას გარდა რუსეთის მთავრობა დასთანხმდა, რათა გერმანიის საელჩო მოსკოვში დაიცვას გერმანელმა ჯარისკაცებმა, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასი კაცი იქნება.

**ბერლინი.** მტრის ჰაეროპლანებმა ტონდერნეში უმნიშვნელო ზარალი მოგვაყენა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

## უკანასკნელი ცნობები

**„თვითგამორკვევა“ ბათუმის ოლქში.**

14 ივლისს ოსმალეთის მთავრობამ, როგორც მის განცხადებიდან სჩანდა, თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა მოახდინა კენჭის ყრა ბათუმში იმის გასაგებათ, თუ რომელ სახელმწიფოს სასარგებლოდ მისცემდენ ხმას ქალაქის მცხოვრებნი. ჯერ კიდევ ორი კვირის წინად კენჭის ყრამდე ადგილობრივმა ვალიმ (გუბერნატორი) გასცა ბრძანება შეედგინათ სია ქალაქში მცხოვრებთა დაწყებული 19 წლიდან. ქალაქის თვითმართველობამ შეადგინა კომისია ხმოსნებისაგან და ქალაქში არსებულ ნაციონალურ საბჭოების (ქართველების, რუსების, პოლონელების, ებრაელების, ბერძნების და უკრაინელების წარმომადგენლებისაგან საქალაქო არჩევნების სახელმძღვანელოთ. არჩევნების დროს ქალაქში გამოცხადებული იყო სალყო წესები. 34,688 მცხოვრებთაგან ქალაქში დარჩა 15,284 სული. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 4812 პირს და ისიც მხოლოდ მამაკაცი. 9.530 ქართველ მცხოვრებთაგან არჩევნებში უნდა მიეღო მონაწილეობა მხოლოდ 781 კაცს. ხმა მისცა 413 კაცმა. ერთის სიტყვით, არჩევნების დღეს ბათუმში იყო მხოლოდ ერთი მეთორმეტედი ქართველი მოსახლე. 10,185 რუს მოსახლეთაგან არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 1062 კაცს. ხმა მისცა 467 კაცმა (შავი 77) 3997 ბერძენ მოსახლეთაგან ხმა მისცა 838 კაცმა. 7078 სომეხ მოსახლეს სრულიად მონაწილეობა არ მიუღია. ვინაიდან ისინი გადახვეწილი იყვენ. შემოსვლა, ეს იგი დაბრუნება ქალაქში იმ მოსახლეობასა, რომელნიც გადახვეწნენ ოსმალთა ჯარის შემოსვლისას, საოცარ სასტიკ პირობებში ხდება, გზა თითქმის შეკრულია. ქალაქში ჩამოსულ ხალხს აიძულებენ არჩევნების წინა დღეებში დაეტოვებიათ ქალაქი. თვით არჩევნები მოხდა შემდეგ ნაირად: იდგა ყუთი. ერთი რუსებისათვის, მეორე—ქართველ-ებრაელებ და სომხებისათვის, მესამე ბერძნებისათვის და მეოთხე მუსულმანებისათვის, მასთან ქართველი მუსულმანები მიწერილი იყვენ თურქ-მუსულმანთა ყუთზე. საარჩევნო ბარათი წარმოადგენდა ორ ქაღალდის ნაჭერს—თეთრსა და ლურჯს; თეთრი ნიშნავდა ოსმალთა სასარგებლო ხმას, ლურჯი—მის წინააღმდეგს როცა ამრჩეველი მიდიოდა საარჩევნო ყუთთან, კომისიის წევრი ეკითხებოდა მას: „თეთრი ბარათი გინდა, თუ ლურჯიო“. და ასე აშკარად აძლევდა ამომრჩეველი ბარათს ყუთში. ხმის მიცემა მოხდა:

1) ალყაშემორტყმულ ქალაქში საალყო წესების დროს და დაინტერესებულ მთავრობის მიერ,
2) მონაწილეობას იღებდა ქალაქის მცხოვრებთა უმცირესი ნაწილი,
3) გზები ქალაქში შემოსასვლელად თითქმის შეკრული იყო,
4) ქართველი ხალხის მხოლოდ ერთი მეთორმეტე იმყოფებოდა ქალაქში,
5) სომხის ხალხი სრულებით გასული იყო ქალაქიდან.
6) ხმების მიცემა იყო აშკარა.
7) განცხადებები იყო გაკრული მხოლოდ ოსმალურ და რუსულ ენებზე და არა ადგილობრივ 4 ენაზე, როგორც ეს საარჩევნო კომისიას ჰქონდა დადგენილი.
8) ამრჩევლები ხმის მისაცემად იყვენ ეროვნულ ჯგუფებად დანაწილებულნი, რათა მთავრობას სცოდნოდა, რომელმა ნაციონალურმა ჯგუფმა რამდენი ხმა მისცა.
9) არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ ოსმალთა მიმართ კეთილგანწყობილ სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი მაგ., სპარსელები.

**ბორჩალო.**

თათრები დაეცენ სომხის სოფ. დაშკაშს. გაძარცვეს ეკლესია. წაუყვანიათ ქალები. ვინც გადაურჩათ ტყეში დამალულან. გუბერნიის კომისარმა წინადადება მისცა ბორჩალოს მაზრის კომისარს მიიღოს ყოველგვარი ზომები.

## საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ

სიტყვიერ აგიტაციას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თავის თავად ცხადია, მოჰყვებოდა მოქმედებაც.

აი მოქმედების ნიმუშებიც:

**თფილისის რკინის გზის დეპოში.**

თფილისის რკინის გზის დეპოს მუშების ერთ ნაწილს ვერ მოუნელებია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ცდილობენ რითაც კი შეუძლიათ ვნება მიაყენონ მას. გუშინდელი შავრაზმელი და თაყვანისმცემელი გოროდცევისა დღეს ბოლშევიკათ გადაქცეულა, ეწევიან აგიტაციას სოციალიზმის ვითომდა სასარგებლოთ და ზოგიერთი მოუმზადებელი მუშებიც-კი ეგებიან მათ ანკესზე.

დღეს, როდესაც ყოფნა არ ყოფნის საკითხი გვიდგას წინ და ოთხივ-კუთხივ ალყა შემოგვერტყა ხულიგანებისა, ამ დროს ზოგიერთი უპასუხისმგებელო დეპოს მუშები არ ერიდებიან არაფერს და იქამდეც კი გათამამდენ, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებასაც კი გზავნიან თურმე სამუშაოდან. რის მაგალითიც იყო 4 ივლისს საღამოს 10 საათზე; როდესაც დეპოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ათვალიერებდენ საყარაულო „პოსტებს“, ამ დროს ვაგონის პარკში წააწყდენ მომუშავე კოველს, რომელსაც ხელში ეჭირა ორი ყუთი დინამიტი. როდესაც შეეკითხენ, თუ საიდან, ან ამ დროს აქ რა გინდაო,—პასუხი ასეთი იყო: ეს რაა, ამისთანა 200 ფ. გავგზავნეთ ოსეთის გზაზე და სახლშიც მაქვს ორი ფუთიო. გაჩხრეკის დროს მართლაც აღმოაჩნდა სახლში დინამიტი. შეაყენეს შესაფერი ოქმი და მასთან ერთად დაატყვევეს მეორე მომუშავე მაკარენკო, რომელსაც აღმოაჩნდა სახელმწიფო საქონელი. გარდა ამისა, კოველმა განაცხადა, რომ ჩემთან მონაწილეობას იღებდენ გენერლებიო.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება მთავრობის მხრივ, რომ ბუდე შავ რაზმელებისა იქნას აღმოჩენილი და დამნაშავენი დასჯილნი.

მეთვალყურე.

**მელიქ-აზარიანცის სახლის გაჩხრეკა.**

19 ივლისს, საღამოს 11 საათზე, სახალხო გვარდიელებმა და მილიციონერებმა ალყა შემოარტყეს ოლღას ქუჩაზე, ვერის დაღმართთან მდებარე მელიქ-აზარიანცის სახლს და შეუდგენ ჩხრეკას. ჩხრეკას ხელმძღვანელობდა რკინის გზის სახალხო გვარდიელთა უფროსი და გარნიზ. უფროსის უფროსი ადიუტ. პორ. ნიკოლაძე. ჩხრეკა გაგრძელდა ნაშუაღამევის 3 საათამდე. სარდაფში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე ყუთი დინამიტი, საარტილერიო ქვები, თოფები, ტყვიები და სხვა მრავალი სამხედრო მასალა. ამ აღმოჩენილ ნივთებს ვილაც უცნობი პირები იცავდნენ, რომლებიც მილიციონერების ფორმაში იყვენ გამოწყობილნი. ესენი სახალხო გვარდიელებმა დააპატიმრეს და თავისი დარაჯები დააყენეს. გაჩხრიკეს ამ სახლში მცხოვრები პოლკოვნიკი ჯუნკოვსკის ბინა. ჯუნკოვსკი დაპატიმრებულ იქნა, როგორც ასაფეთქებელ ნივთიერებათა შემნახველი. ჯუნკოვსკის ბინაზე აღმოაჩინეს აგრეთვე რამდენიმე ბოჭკა ცემენტი. ჯუნკოვსკის ბინიდან წაიღეს მთელი მისი მიწერ-მოწერა. იმავე ღამეს დაპატიმრებულ იქნა ყოფილ თფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ნაუფროსალი პოლკოვნიკი პასტრულინი.

არიან დაპატიმრებულნი აგრეთვე სხვა პირებიც,—მათ შორის ჯუნკოვსკის ცოლი მარგარიტა, გენ ფონრუბენაუ და პორუჩიკი ალექსანდროვი.

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება თფილისის კომიტეტის ს. დ. მ. პ. კრება.

◆ **დუშეთის საქმის საგანგებო გამომძიებლისგან.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მე მონდობილი მაქვს დუშეთის მაზრაში მომხდარ ამბების საგანგებო გამოძიება. ამიტომ ვსთხოვ ყველა მოქალაქეს, ვისაც რაიმე საბუთი მოეპოვება წერილის სახით იქნება ის თუ პროკლამაციის, ან პირადათ ნახული ცნობები და ჩვენებები დაუყონებლივ მომაწოდოს შემდეგი მისამართებით: 1) თფილისი, რედ. „ერთობა“ და „ბორბა“ ჩემთვის გადასაცემათ. 2) ქ. დუშეთი, მომრიგებელ მოსამართლის კამერა პარმენ კახიანს. ყველა დოკუმენტი მსურველს დაუბრუნდება. პ. კახიანი.

◆ **ეროზის არჩევნების გარშემო.** დიღომის საარჩევნო ნაწილში მიიღეს: № 1—3 ხმა (უპარტიოთ), № 2—1103 ხმა (სოც.-დემ. და ს. ფედ. ბლოკი) № 3—არც ერთი ხმა (ეროვნული დემოკრატები).

◆ **ლტოლვილები.** თფ. ქალაქის მილიციის უფროსს დაევალა საბურთალოს რაიონში დარაჯები დააყენოს და უბრძანოს მათ არ გაუშვას მცხეთის მიმართულებით ლტოლვილები, თუ მათ სათანადო ნებართვა არ ექნებათ რუსთა ეროვნულ საბჭოსაგან.

◆ **რუსის ტყვეები.** გერმანიის სამხედრო მისიამ აცნობა რუსთა ნაც. საბჭოს, რომ ოთხთა შეთანხმების ტერიტორიაზე მყოფ რუს ტყვეებს ის სთვლის არა ტყვეებათ, არამედ თავის სტუმრებად. მისია წინადადებას აძლევს რუსის ეროვნულ საბჭოს გაგზავნოს თავისი რწმუნებული და დარწმუნდეს თუ როგორი პატივით ეპყრობიან ტყვეებს. რუსთა ეროვნული საბჭო ჰგზავნის დელეგაციას.

◆ **რკინის გზაზე.** 18 ივლისს 10 შეიარაღებული პირი შევიდა რკინის გზის ვაგონების საწყობში და რკ. გზის მილიციონერების სახელით მოითხოვეს ყინულის საკეთებელი ვაგონი. მათ ყურადღება არ მიაქციეს საწყობთა გამგის მდივანის ახსნას, რომ მას უფლება არა აქვს ვაგონი მისცეს, სამინისტროს ან სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის ნება-დაურთველათ. მათ ვაგონი გაიტაცეს.

◆ **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა ჯარისკაცი ნიკოლოზ ქართველიშვილი, სადარაჯოზე სიმთვრალისა და სახელმწიფო ნივთების გაფლანგვისათვის.

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა,** ქალაქის მიდამოების ადგილ-მამულის მიმღები კომისია შეუდგა მიწების ჩაბარებას 22 ივლისიდან საბურთალოს რაიონში.

◆ **ქართველ-გერმანელთა კულტურული საზოგადოების დაარსება.** კვირას, 21 ივლისს დილის 11 საათზე ტ. მარგველაშვილის მეთაურობით შესდგა ქართველ-გერმანელთა კრება. აზრთა-გაცვლა-გამოცვლის შემდეგ არჩეულ იქნა ორგანიზაციული კომისია, რომელშიაც შევიდენ შემდეგი პირნი: მარგველაშვილი, არტურ ლეისტი, ონიაშვილი, პროფ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე, ვეშაპელი და სხ.

◆ **ავსტრო უნგრეთის დელეგაციის** უფროსმა ფრან-კენშტეინმა შესწირა ლტოლვილთა სასარგებლოდ 1000 მან.

◆ **ყაზბეგიდან** შემდეგი ტელეფონოგრამმა მივიღეთ: ჩვენ, დარიალის ხეობაში მყოფმა პირველი რაიონის გვარდიელებმა გავიგეთ, რომ ადერბეიჯანის რეაქციონურ მთავრობას სიკვდილით დასჯა მიუსჯია ამხანაგ სანიევისა და ალიევისათვის, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე შესწირეს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას. ამის გამო სასტიკ პროტესტს და ზიზღს უცხადებთ ადერბეიჯანის რეაქციონურ მთავრობას, რომელიც თავის ბინძური ხელით სიცოცხლეს უსპობს მუსულმანთა საუკეთესო შვილებს. ამხანაგების მინდობილობით ტორიკაშვილი.

◆ **თფილისის უნივერსიტეტისათვის** სტეფანე თიროშვილმა უნივერსიტეტის გამგეობას ჩამოუტანა ანტონ თოიძის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სადგურ მანჯურიაში თფილისის უნივერსიტეტის სასარგებლოდ გაუმართავთ საღამო და წმინდა შემოსავალი 6,870 მ. ხარბინის რუსულ-აზიურ ბანკში შეუტანიათ. საღამო გაუმართავთ ანტ. თოიძეს, სტ. თიროშვილს და მ. გაწერელიას. გულმხურვალე დახმარება აღმოუჩენიათ ანასტასია თოიძეს, სიმონ ცეცხლაძეს, სურინოვს, საპელკინს, ქ-ნ გოლფელდს, დოევასას და სხვ. საგულისხმიეროა, რომ ამ საქმეში უცხოელებსაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ. ეს თვით სამშობლოში მცხოვრებთათვის წასაბაძი მაგალითია.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება.** საბშაბათს 23 ივლისს, ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“ (გაგრძელება); შემდეგ გაირჩევა მიმდინარე საკითხები.

◆ **თფილისის სახალხო უნივერსიტეტის** პირველ განყოფილებაში ნაძალადევის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ შემდეგ თემებზე: 22 მკათათვეს ქართულ ლიტერატურაზე ს. ქორქოლიანი, 23—მიზანი დემოკრატიისა თალაკვაძე. 24—პოლიტიკური ეკონომია რუსულათ მახვილაძე, 25—სოციალიზმის ისტორია მ. არსენიძე, 26—ხოლერაზე ექიმი ტურაშვილი.

◆ იმ ბრალდების გამოსაძიებლათ და გასარჩევათ, რომელიც წამოყენებული იყო ლ. ასათიანის მიერ ათანასე ქვათაძის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის სართიჭალის კომისრათ ყოფნის დროს, საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „კომისია გაეცნო რა იმ საბუთებს, რომლის ძალითაც ათანასე ქვათაძეს ბრალი ედება მის სამსახურის დროს ცუდ მოქმედებაში, განსაკუთრებით კი მექრთამეობაში, სცნო რომ აღნიშნული საბუთებით ა. ქვათაძის მექრთამეობა არ მტკიცდება, მაგრამ ადმინისტრატიულ მოქმედებაში დეფექტები არის“. კომისიის წევრები: ვ. ცაბაძე, ი. ბესელიძე, ი. ირემაშვილი. ეს რეზოლიუცია გამოტანილია ამ წლის აპრილში.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 5 საათზე სასამართლო პალატის ბინაზე დანიშნულია მეორე უბნის ბინის კომიტეტების წარმომადგენელთა საერთო კრება.

— ოთხშაბათს 24 მკათათვეს საღამოს ხუთ საათზე შესდგება მესამე რაიონის პარტიის წევრთა კრება, რადგანაც საჭირო კითხვებია გასარჩევი, ამხანაგებს თხოვენ აუცილებლათ დაესწრონ. ბინა: ავლაბრის კლუბი, კახეთის ქუჩა № 1.

## დიდუბე

19 ივლისს საღამოს 6 საათზე შესდგა მე-12 უბნის სამოქალაქო კომიტეტის კრება ამხ. არჩილ მათიკაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო დასმული ორი საკითხი: სასანიტარო კომისიის მოხსენება და საქალაქო სასადილოს გახსნა. მოხსენება გააკეთა ამხ. მკერვალიშვილმა სასანიტარო მზრუნველის მოქმედებაზე, თუ რა ზომას ღებულობენ, რომ ეზოები და ქუჩები სუფთად იყოს შენახული. მომხსენებლის ახსნა განმარტებამ კრება დააკმაყოფილა, რაც შეეხება სასადილოს გახსნას და ვის განკარგულებაში უნდა დარჩეს სასადილო, ამან გამოიწვია დიდი შეხლა-შემოხლა. ამხ. გრაჩოვი და გნოევოი ამბობდენ, რომ ჩვენ, როგორც სამოქალაქო კომიტეტი ყოველივე უფლება ჩვენ ხელში უნდა იყოსო და ქალაქის გამგეობას კი არაფერი უფლება არ უნდა ქონდესო, მაგრამ მეორე ნაწილი უმტკიცებდა მათ: რადგანაც ქალაქის თვითმართველობა გვაძლევს ავანსს და მასთან აქვს საუკეთესოდ მოწყობილი ცენტრში სასადილო და მასთან სურსათის შოვნა უფრო ადვილია მათთვის სასადილო უნდა იყოს ქალაქის თვითმართველობის ხელშიო. პირველ წინადადების მომხრეებმა მიიღეს 6 ხმა, მეორე წინადადებამ კი 10 ხმა. რეზოლიუცია ასეთი მიიღე: დიდუბეში იხსნება საქალაქო სასადილო, რომელსაც განაგებს ქალაქის თვითმართველობა, სასადილო კომისიაში შედის ჩვენი სამოქალაქო კომიტეტის ორი წევრი გადამწყვეტი ხმით, რომლებსაც უფლება აქვთ გაუწიონ კანტროლი სასადილოს მოქმედებას; კრებამ აირჩია ამხ. მკერვალიშვილი და ნონიკაშვილი. ამასთან კრებამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარონ რეკვიზიციის სახით ჩამორთმეული არაყი რაიც მოეპოვება კომიტეტსა; ამ საკითხმაც აღიაქოთი გამოიწვია კრებაზე. აქაც ორმა აზრმა იჩინა თავი. ერთნი ამბობდენ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს არაყი გავყიდოთ მცხოვრებლებზე შაქრის ბარათით და ეს გადაწყვეტილება მოვიყვანოთ სისრულეშიო, ამისთვის ჩვენ არავის არ უნდა შევეკითხოთ და უნდა ვიმოქმედოთ ავტონომიურათ, რადგანაც ჩვენ ვართ დიდუბის რაიონის ბატონ-პატრონნიო. ასეთ შეხედულების დამცველათ გამოვიდენ ამხ. გრაჩოვი და გნაევოი, მაგრამ მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს ამხ. მათიკაშვილმა და ჟურულმა, რომელთაც განუმარტეს, რომ ჩვენ უნდა ვემორჩილებოდეთ იმ ორგანოს, რომელიც ჩვენ შევქმენით და ყოველი მათი გადაწყვეტილებაც უნდა გავატაროთ ცხოვრებაში; ჩვენ უნდა შევეკითხოთ ქალაქის თავს—შეიძლება თუ არა არყის გაყიდვა და თუ ნებას დაგვრთავს, ხომ კარგი და თუ არა, იმასაც უნდა დავემორჩილოთო. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: გაიგზავნოს ქალაქის თავთან ორი წარმომადგენელი, რომელნიც გადასცემენ კრების გადაწყვეტილებას. საჭიროა დიდუბის მცხოვრებთ გადაეცეს ის არაყი, რომელიც აქვს სამოქალაქო კომიტეტს. კრებამ აირჩია პირად მოსალაპარაკებლათ ამხ. მკერვალიშვილი და გნაევოი.

დამსწრე.

## შავი ზღვის პირის ფრონტი

გუდაუთის დაცემის შემდეგ ბალშევიკებმა გამარჯვება იდღესასწაულეს. წითელი დროშაააფრიალეს და ისე შემოვიდენ ქალაქში. სოციალისტების და გამოწვრთნილი რევოლიუციონერების გვამებზე გადაიარა ბალშევიკურმა „წითელმა არმიამ“. სოციალიზმის სახელით დაიწყო ცარცვა-გლეჯა. გაანადგურეს ბევრი მაღაზია და ქონება დაიტაცეს, ღვინოს რეკვიზიცია უყვეს და მაშინვე დათვრენ. მოკლულები, რომელნიც ჩვენი იყო, გაატიტვლეს და ისე დამარხეს. გუდაუთის ბრძოლაში დაღუპულთა შორის აღმოჩნდა არტილერიის უფროსი ზომბაი, რომელიც უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოდა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე გულგანგმირული. აღსანიშნავია რომ ჩვენი დაჭრილები არც ერთი არ გადაარჩინეს,—ყველას დასჭრეს ყელები, ბალშევიკების ლიდერებიც მალე გაჩნდენ ქალაქში და ბრძანების გამოცემას შეუდგენ 19 ივნისს ჯარების უფროსი ბახტაძე სოჩაში შემდეგს ატყობინებს: „გამარჯვება ოსმალებზე. სოჩა 19 ივნისი. გაცნობებთ, რომ საბჭოების ჯარებმა ერთი დღე-და-ღამის ბრძოლის შემდეგ აიღო გუდაუთი; მტრის ბანდების ნაწილი ამოვჟლიტეთ, ნაწილი წამოვიყვანეთ ტყვეთ; ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 6 ზარბაზანი. 5 ტყვიისმფრქვეველი ბევრი ყუმბარა და პატრონები. ჯარების უფროსი ბახტაძე“. ბახტაძემ შესძლო წითელ გვარდიელების მაგიერ ოსმალების აღმოჩენა. ამავე ხანებში მოწოდება მოწოდებაზე გამოდის, სადაც ბალშევიკები მოუწოდებენ მუშებს, გლეხებს და კაზაკებს ებრძოლონ გერმანო-უკრაინულ და ოსმალო-ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ „ბანდებს“, მათ ლაქიებს მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს, რომლებიც რუსის აფიცრების და გენერლების ხელმძღვანელობით მოდიან ბალშევიკების და რუსის გლეხების სოფლების, პურის, საქონლის და სახლების გასანადგურებლად. ასეთი პროვოკაციულ პროკლამაციებს ავრცელებენ ლაკობა, ბახტაძე და კომპანია ბნელ მასსაში და პროლეტარიატის სახელით თვით პროლეტარიატის და დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩვენი ქვეყნის ისტორია ბევრ რამეს იტყვის ასეთ „მემარცხენე სოციალისტების“ შესახებ თავის დროზე და შესაფერ მსჯავრს დასდებს მათ კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობის ხელის შეწყობის და დემოკრატიული მთლიანი გულის დაფლეთისათვის.

**გუდაუთის დაცემა.** 16 ივნისამდე გუდაუთის რაიონში არავითარ საფრთხეს არ ხედავდა თფილისის მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის რაზმი, რომელიც ამ ქალაქში იდგა და წესიერებას იცავდა. 16 ივნისს საფრთხის სიახლოვე თითქმის სრულიად მოშორდა მას რაც გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: 12 ივნისს ბალშევიკების და ჩვენს შორის მცირე შეტაკებამ შავ წყალზე, რომელიც 8—9 ვერსტით არის მოშორებული გუდაუთზე, გამოიწვია ჩვენს და აფხაზების გლეხებს შორის კავშირის გაბმა. ჩვენ გავუგზავნეთ გლეხებს დელეგაცია იმის გამოსარკვევად, თუ რა ნიადაგზე მოხდა 12 ივნისის შეტაკება. მათ მოახდინეს ყრილობა სამ საზოგადოებაში და მოგვცეს ჩვენ შეკითხვა: „ვის მხარს იჭერს ამიერ-კავკასიის წითელი გვარდიის შტაბი—მემამულეების და თავად აზნაურების, რომლებიც ჩვენს შვილებს —სოციალისტებს ჰკლავენ და ყოველივე დემოკრატიულ მოძრაობას აქრობენ, თუ გლეხებს და მუშების, რომლებიც მუდამ დაჩაგრული იყო თავად-აზნაურობიდანო“. შტაბმა ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანოების წარმომადგენლების თანდასწრებით შეიმუშავა შესაფერი პასუხი, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ძირითადი დემოკრატიული რეფორმები, რომლის განხორციელებისათვის იბრძვის წითელი გვარდია, აფხაზების ცხენოსანი რაზმის გუდაუთიდან გაყვანის დაპირება იყო და დასასრულ გვარდიის შტაბი სთხოვდა ხალხს გამოეგზავნა სამ-სამი დელეგატი თითეულ საზოგადოებას გუდაუთში, რომ ჩვენს და მათ შორის საქმე მშვიდობიანად დამთავრებულიყო და არავითარ შეტაკებას არ ქონებოდა ადგილი. ეს დადგენილება შტაბის გაგზავნა საიმედო პირების ხელით გუდაუთის რაიონის სხვადასხვა საზოგადოებებს გასაცნობად. დაბრუნებულმა ჩვენმა წარმომადგენლებმა სასიხარულო ამბები მოიტანეს. ხალხი აღფრთოვანებულია თქვენი პასუხით და დელეგატებს გიგზავნის დანიშნულ დროისთვის 6 საზოგადოებაო. 16 ივნისს დაინიშნა დელეგაციის კრება. დანიშნულ დროს კრებაზე გამოცხადდენ თითქმის ყველა საზოგადოებების დელეგატები. დაესწრენ კრებას ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები, შტაბის წევრები, გვარდიელების წარმომადგენლები—სულ 40 დე კაცი. კრება გახსნა ამხ. ნოვიკოვმა, როგორც შტაბის უფროსმა და დამსწრე დელეგატებს მოკლეთ გააცნო კრების მიზანი. „ჩვენ ხალხ, დემოკრატიას გვინდა დაველაპარაკოთ და იმედი გვაქვს მასთან მოვსძებნით ჩვენ საერთო ენას, რომ ჩავაქროთ ანარქია სოხუმის ოლქში, ცხოვრება ნორმალურ ფარგლებში ჩავაყენოთ, შევკრას მთლიანი ფრონტი აფხაზეთის დემოკრატიასთან, ვეცადოთ გავატაროთ ცხოვრებაში ყველა დემოკრატიული რეფორმები და ლიკვიდაცია ვუყოთ ჩვენს შორის მტრულ განწყობილებასო. მოხდა აზრთა გაცვლა გამოცვლა, ილაპარაკეს გლეხების წარმომადგენლებმაც, რომელთა შორის კოდორის რაიონის გლეხთა წარმომადგენლებიც იყვნენ და ბოლოს მიიღეს ჩვენ მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ამბობდა, რომ კოდორის გლეხებთან ერთად მოწყობილ იქმნას მთელ გუდაუთის რაიონში მიტინგები და იქ იქნას ხალხთან ერთად გამომუშავებული საერთო გეგმა აფხაზეთის დემოკრატიის გასაერთიანებლათო. ეს კრებები და მიტინგები უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება მალე და 18 ივნისს უნდა ეთქვა გუდაუთის რაიონის გლეხობას სურს მას საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა თუ არ სცნობს მას და მასთან ერთად აფხაზეთის სახალხო საბჭოსაც. მოლაპარაკების პროცესმა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა, სრულიად დაამშვიდა საგანგებო რაზმი, რომელიც მეტად საწუხარო მოვლენათ თვლიდა დემოკრატიასთან შეტაკებას და ცდილობდა მშვიდობიანი გზით საქმე გათავებულიყო. ამავე დღეს მართავს თფ. აღმ. კომიტეტის რაზმი წარმოდგენას, რომელსაც მოჰყვა ვახშამი და მთელი ღამე ამაში იყო ქართული რაზმელების უმრავლესობა. მეორე დღეს დილის 10 საათზე ცნობა მოვიდა შტაბში, რომ სოხუმის გზაზე ბოროტ-გამზრახველებმა მგზავრები გაცარცვეს, ტელეგრაფის მავთული გადასჭრეს და გზა დაიკავესო. იმავე წუთში ნოვიკოვის და ღლონტის მეთაურობით მცირე რაზმი გაიგზავნა გზის გასაწმენდათ და ტელეგრაფის მავთულის გასასწორებლათ. 5 ვერსზე გუდაუთიდან მოხდა შეტაკება ბალშევიკების „ბანდასთან“. 3-საათის ბრძოლის შემდეგ გზა გავსწმინდეთ და ვნახეთ სად იყო მავთული გაწყვეტილი. ვეძიეთ ტელეგრაფისტები, მაგრამ ისინი სადღაც გაპარულიყვნენ. უკან დაბრუნებისას 2 ვერსზე გუდაუთიდან ტყეებიდან დაგვიწყეს სროლა. ჩვენ ვუპასუხეთ და შემდეგ დავბრუნდით გუდაუთში. ამ დროს გაგრის მხრით ბალშევიკების ჯარი რიცხვით 3 ათას კაცამდე მოსდგომოდა გუდაუთას და არტილერიის სროლაც დაწყებულიყო. საღამო დროს დიდი ბრძოლა გაიმართა. ღამის 1 საათიდან ბრძოლა განახლდა. ჩვენს რაზმს მეტად ცუდი პოზიცია ეჭირა. ხალხი ცოტა იყო და პოზიციას არ სწვდებოდა. მტერი კი მრავალ რიცხოვანი იყო და ყოველი მხრიდან მოადგა გუდაუთას. ორი დღის უძინარი, ნაბრძოლი, უჭმელ-უსმელი მაინც მამაცურად განაგრძნობდა ბრძოლას. ზღვის პირიდან, სადაც ყვირილის რაზმის ნაწილი იდგა, მტერმა გაარღვია ფრონტი და ქალაქში შეიჭრა. როცა ჩვენ რაზმს ესმის უკანიდან სროლა, გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდება. არ იცის ვინ ისვრის ქალაქში.

9 საათი იქნება. ბრძანება არის უკან დახევის შესახებ. ჩვენ მივდივართ შტაბში. ქალაქი მტერს ჩაუგდია ხელში. ჩვენ დაგვიწყეს სროლა. ბევრი ჩვენი ამხანაგები დარჩა ქალაქში. 30—40 კაცი გამოვიდა შემთხვევით საშინელ სროლის ცეცხლში. ჩვენს გვარდიელებს ესროდენ სახლებიდან სომხები და თათრები, ესროდა შემოსეული მტერი. 70 დე დარჩა ტყვეთ ბალშევიკების ხელში თფ. აღმ. კომიტეტის რაზმიდან. 2 დასჭრეს, მარა შემდეგ ყელები დასჭრეს ხანჯლით „მემარცხენე სოციალისტებმა“. ორი ყვირილის რაზმიდან მოკლეს. მტრის მხრით ბევრი იყო მოკლულ-დაჭრილი. ჩვენ

ტყვეებს გახაცეს ტანზე ყველაფერი ბევრი სცემეს, დახვრეტას ძლივს გადაურჩენ, შემდეგ ჩაყარეს ნავში და გაგრაში გაგზავნეს. მოათავსეს გაგრის ციხეში. ბოლშევიკების ლიდერთაგანი ბ ნი ფარგალავა ისე მკაცრად და მხეცურად ეპყრობოდა ჩვენს რაზმელებს, რომლის მსგავსი მოპყრობა ტყვეებისადმი იშვიათად ახსოვს ისტორიას. გაგრის თანამოაზრე ამხანაგებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს ტყვეებს ყოველი მხრით. მიაწოდეს მათ ტანისამოსი, საჭმელ სასმელი და სხვა. უკან დახეული რაზმელები ჟარეს ცეცხლში ჩავარდნენ უკან დახევის დროს. ყოველ მხრიდან ესროდნენ მას. ბოლშევიკებს გზის ახლოს გორაკებზე და ტყეებში თხრილები ქონდათ გაკეთებული. რაკი დაინახეს ჩვენი უკან დახევა უკანასკნელი მწყემსი და მშვიდობიანი მცხოვრები —სომხები გვესროდენ სახლებიდან და სანგრებიდან. ჩვენც სროლით მივდიოდით უკან. ერთი დაგვიჭირეს გზაში. დანარჩენები პაპანაქება სიცხეში უვნებლათ გავიდნენ ახალ ათონის მონასტრამდე, რომელიც 17 ვერ. არის დაშორებული გუდაუთას (აქ კი სული მოვითქვით) და ამ მანძილის განვლის დროს არც ერთი ადგილი არ ყოფილა, რომ თოფი არ ესროლათ ჩვენთვის. 17 ვერსის მანძილზე ყველგან თხრილები ქონდათ გაკეთებული და დაჭერილი ქონდათ გზა. მიუხედავათ ამისა უკან დაბრუნებულმა მცირე რაზმმა მოიგერია მტერი და ათონის მონასტერში გამაგრდა. შემდეგ ახალი ძალები მოგვემატა და 19 ივნისს დაიწყო ახალ-ათონის მონასტერთან ბრძოლა, ბოლშევიკური ბრბოების წინააღმდეგ.

პრომეთეოსი.

## კიდევ ხოლერასთან ბრძოლის შესახებ

(თფილისის მუნიციპალიტეტის სოც.-დ. ფრაქციის საყურადღებოთ).

ამ წერილით მე მინდა მივაქციო ამხანაგი ხმოსნების ყურადღება ხოლერის საკითხზედ. ხოლერის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. მარა გაკეთებული კი ცოტაა. მდგომარეობა კი ფრიად სერიოზულია. პირველი შემთხვევა ხოლერისა იყო 25 ივნისს. პირველ ივლისამდე სულ გახდა ავათ 21 კაცი. შემდეგში ხოლერა თანდათან ძლიერდება, რაც სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

| რიცხვი | ავათ გახდა | მოკვდა |
|---|---|---|
| 1 ივლის. | 3 | 2 |
| 2 | 2 | 3 |
| 3 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 2 |
| 5 | 5 | 2 |
| 6 | 8 | 6 |
| სულ | 25 | 18 |
| 7 ივლის. | 7 ივლ. | 6 |
| 8 | 10 | 3 |
| 9 | 15 | 6 |
| 10 | 33 | 10 |
| 11 | 26 | 14 |
| 12 | 18 | 14 |
| სულ | 109 | 53 |
| 13 ივლის. | 20 ივლ. | 15 |
| 14 | 28 | 15 |
| 15 | 13 | 16 |
| 16 | 23 | 15 |
| 17 | 15 | 9 |
| 18 | 22 | 14 |
| სულ | 131 | 34 |

როგორც ხედავთ პირველ კვირაში 21 კაცი გახდა ავათ ხოლერით, მეოთხე კვირაში კი 121, ე. ი. ექვსჯერ მეტი თუ ამ ტემპით განვითარდა ავათმყოფობამ 1 თვის შემდეგ კვირაში 600 დე აალწევს.

ეს არის ქალაქის საავადმყოფოს სტატისტიკა. საავადმყოფოს გარეშე იყო 15 ავადმყოფი, გარდაიცვალა 9. ამნაირათ, 25 ივნისიდან 19 ივლისამდი ავათ გახდა 279, გარდაიცვალა 164 სული. როგორც ხედავთ გარდაცვალებულთა რიცხვი აღემატება 50 პროც. თუ რაიმე ენერგიული ზომები არ იქნა მიღებული, მაშინ ჯერ უნახავი შავი დღეები მოელის თფილისს. ყველა აქ მყოფი ამ საკითხის მცოდნე ექიმები, და მათ შორის პროფესორი შიროკოგოროვი, პესიმისტურათ უყურებენ საქმეს.

მიუხედავათ ასეთი კატასტროფიული მდგომარეობისა ქალაქი ვერ აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას ხოლერის წინააღმდეგ. თფილისის ქუჩები მოფენილია ხილის მოვაჭრეებით, რომლებიც არავითარ სანიტარულ ზომებს არ ემორჩილებიან. ქუჩები დაუგველია; ეზოები საშინელ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან. „კლოზეტებზედ“ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ უსუფთაო ადგილებიდ ნ ბუზებს გადააქვთ სხვადასხვა მიკრობები ხილეულობაზედ და სანოვაგეზე და ამნაირათ ავრცელებენ ხოლერას. არსებობს ხოლერის გავრცელების შესახებ ეგრეთ წოდებული ბუზის თეორია, რომელსაც იცავს ამ ჟამად თფილისში მყოფი პროფესორი შიროკოგოროვი. ეს თეორია ამტკიცებს, რომ ხოლერის მიკრობები უსუფთაო ადგილიდან ბუზებს გადააავთ სანოვაგეზედ და ამნაირათ ვრცელდება ხოლერაო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თფილისში წყალში არ უპოვნიათ ხოლერის ვიბრიონები, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუზები დიდ როლს თამაშობენ ხოლერის გავრცელებაში.

მერე რა ზომებია მიღებული ქალაქის სანიტარული მდგომარეობაში მოსაყვანათ? თითქმის არაფერი! გულდასმით ვკითხულობ სხვადასხვა გაზეთების ქრონიკას იმის გასაგებათ, თუ რამდენი ოქმი შეუდგენიათ ამ დღეებში სანიტარულ ექიმებს, მარა ვერც ერთი ცნობა ამის შესახებ ვერ ვიპოვე. ამისთანა დროს სანიტარული ექიმები გამუდმებით უნდა დადიოდნენ ეზოებში, რესტორანებში, სავაჭრო ადგილებში და სხვა ამნაირ დაწესებულებებში, რათა მოითხოვონ ამ დაწესებულების პატრონებიდან სანიტარული დადგენილებათა შესრულება. ვინც ამ დადგენილებათ არ შეასრულებს ოქმი უნდა შეუდგინონ და დასაჯონ. ოქმის შესადგენი მასალა ყოველი ფეხის ნაბიჯზედაა. მიუხედავათ ამისა ოქმს არავინ ადგენს, სანიტარული თვალყურის დევნება არ არის, უსუფთაობა საზღაპრო ხასიათს ღებულობს. **ვინ უნდა აგოს პასუხი ხალხის წინაშე ამ ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ? ვინ და ჩვენ მიერ არჩეულმა ქალაქის მუნიციპალიტეტმა. დემოკრატია პასუხს მოსთხოვს არა ექიმებს, რომლებიც უნდა იყვნენ ქალაქის გამგეობის ნების ამსრულებელნი, არამედ ქალაქის გამგეობას, ხმოსნებს, რომლებსაც მან ჩააბარა თავისი ინტერესების დაცვა და, მაშასადამე, ხალხის ჯანმრთელობაზედ ზრუნვაც.** რომ ჩვენი ხმოსნები შეხედავდნენ ჯანმრთელობის საკითხს, როგორც თავის საქმეს, მაშინ ისინი ჩაერეოდნენ სანიტარული ორგანიზაციის მოქმედებაში, კანტროლს გაუწევდენ მას და საქმე კარგათ წავიდოდა. სანიტარიაზე ზრუნვა საზოგადო მოღვაწეს უფრო ეხება, ვინემ ექიმს. პირველი არის ორგანიზატორი ამ საქმის, მეორე მისი ტეხნიკოსი, ამსრულებელი.

მე მივმართავ თფილისის მუნიციპალიტეტის ს.-დ. ფრაქციას, რათა ის ჩაერიოს ქალაქის სანიტარული ორგანიზაციის მოქმედებაში, კანტროლი გაუკეთოს მას. გარდა ამისა საჭიროა, რომ ხმოსნებმა ჩამოიარონ ის უბნები, საიდანაც იყვნენ არჩეულნი და იქ გაიგებენ, თუ როგორ ემსახურება ხალხს ქალაქის მედიცინა.

ექ. ნ. რუხაძე.

19 ივლისი, 1918 წ.

## საქარ. რესპუბ. სახ. განათლების სამინისტრო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილების თანახმად საქართველოში სკოლის გაეროვნულების განსახორციელებლად ქ. ტფილისში საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის დროებითი კურსები იხსნება, რომელიც 1 მარიამობისთვეს დაიწყება და თვე ნახევარს გასტანს. წაკითხული იქნება ლექციები: ფსიქოლოგიიდან და პედაგოგიკიდან, საზოგადო და ქართულ ენათმეტყველებიდან, ქართულ ძველ და ახალ მწერლობის ისტორიიდან, ქართველი ერის ისტორიიდა, მსოფლიო ისტორიიდან, სამათემატიკო საგნებიდან, ფიზიკიდან, ბუნების-მეტყველებიდან, სამათემატიკო დი საზოგადო გეოგრაფიიდან.

მსმენელებად იქნებიან საშუალო სასწავლებლების ქართველი მასწავლებელნი, როგორც სასწავლებლის გამგეობათა მიერ არჩეულნი, ისევე პირადათ მსურველნი. პირველი ჯგუფის ყველა მსმენელს (თფილისში მცხოვრებთ გარდა) საგზაო ხარჯი, ბინა და სასმელ საჭმელი მიეცემა. მეორე ჯგუფის მსმენელებმა, თხოვნა უნდა შემოიტანონ და შეძლებისამებრ მათაც დახმარება აღმოეჩინება.

კურსებზე გამოწვეულთა რიცხვის რაოდენობას თვითეული სასწავლებლის გამგეობა სახალხო განათლების სამინისტროს საგანგებო დეპეშებიდან შეიტყობს, რომელსაც თვითოეული მათგანი მიიღებს. ყოველი სასწავლებლის გამგეობა მოვალეა დაუყონებლივ აირჩიოს მასწავლებელნი, რომელნიც ზემოხსენებულ კურსებზე სახელმწიფო ხარჯზე იქნებიან. თუ ვინცობაა გამგეობის აზრით სამინისტროსაგან განსაზღვრული რიცხვზე მეტ მასწავლებელთა გამოგზავნა არის საჭირო, გამგეობას უფლება აქვს ასეთი პირნიც დაასახელოს და სამინისტროს აცნობოს.

მსმენელები ივლისის 29-ს უკვე ტფილისში უნდა იყვენ ჩამოსულნი, რადგან ლექციები სწორეთ მარიამობისთვის 1 ს დაიწყება. ყველა ცნობები და თხოვნები კურსების შესახებ სახალხო განათლების სამინისტროს სამდივანმწიგნობროში (კანცელარიაში) უნდა იყოს გამოგზავნილი (პეტრე დიდის ქუჩა № 8).

სხვა გაზეთებს ვთხოვთ გადაბეჭდონ.

## „აის“-ი და „ადამ ბელტი“ პ. მასალკინის წინააღმდეგ

ეს რამოდენიმე ხანია გაზ. „ერთობა“-ში ურიცხვი წერილები იბეჭდება ამხანაგ პავლე მასალკინის აღმოსაფხვრელათ. კუთხეში მიმალულ „აის“-მა და „ადამ ბელტ“-მა სახელი გაითქვეს. მართლა პ. მასალკინი ძველ ამხანაგებში კარგათ ცნობილია, ის მუდამ საერთო საქმეს ემსახურებოდა; გიმნაზიიდანვე ჩვენთან იყო; ციხეში ხომ ვერავინ ასწრებდა წასვლას, ამავე დროს ციხ ქვეყნებსაც კარგათ იცნობს. როდესაც ციხიდან ანთავისუფლებდენ, ამხანაგების რჩევა შემდეგი იყო: „პავლე, ლოგინი დატიე, სულ ერთია, მალე მოხვალ“-ო.

აშკარაა, თუ ზოგიერთ გუშინდელ სოციალისტებმა გაანადგურეს პავლე მასალკინი, მათ ეს დიდხანს ექნებათ სალაპარაკოთ: აი, ჩვენ ვინ ვიყავითო „ერთობის“ № 147 „აის“-ს ყური მოუკრავს რომ მის წერილებს ზოგიერთ ამხანაგებში „უკმაყოფილებაც“ გამოუწვევია.

მე აუარება ძველ ამხანაგებს შევხვდი, რომელნიც „უკმაყოფილონი“ კი არა აღშფოთებულნიც იყვნენ დასახელებული წერილებით.

პირადათ ჩემი აღშფოთება სრულიად არ გაუქარწყლებია „აის“-ის და „ბელტის“ საბუთებს. მე უფრო დავრწმუნდი, თუ რა საშუალებებს მიმართავენ ზოგიერთები, რომ დაამარცხონ და გათელონ ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი.

მე ზოგიერთ საბუთებს შევეხები, სხვებზე თვითონ მასალკინი მოგვითხრობს.

როგორც ვანო ომანიძის წერილიდან (ერთობა № 149) მკითხველი დაინახავდა, არამც თუ ის „აის“-ს არ უჭერს მხარს მასალკინის წინააღმდეგ, არამედ სასტიკ პროტესტს უცხადებს, ჩემდა დაუკითხავათ მე როგორ მიმოწმეო. ამას დათვური სამსახური ეწოდება.

მე ზოგიერთი ამბები ვიცი ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან, აგრეთვე მასალკინის დამოკიდებულება ამათუ იმ პიროვნებასთან დამტკიცებით უნდა ვაღვიარო, რომ ბ. „ადამ ბელტი“ (№ 148) სიყალბეს სჩადის, როდესაც თუმანოვს მასალკინის მრჩევლათ თვლის არამც თუ რაიმე გავლენა ქონდა თუმანოვს მასალკინზე, არამედ არავითარი კავშირი მასთან არ ჰქონია. პირიქით, ის არასოდეს არ იხსენიებდა თუმანოვს ქებით. რაც შეეხება ვანანდიანცს, ეს მეტათ უწყინარი კაცია; არასოდეს არცერთ საქმეში ის მე არ მინახავს მრჩეველათ. მიმჯდარი კი არის თავის სკამზე, ალბათ იმიტომ, რომ იქვე მეორე ოთახში მსახურებს. ჩემი შთაბეჭდილებით მისი უბედურება მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ მას სომხის გვარი აქვს.

მე არ მ მაჩნია სამართლიანად ყოველი ცოდვა მასალკინს მოახვიონ თავზე მარტო იმიტომ, რომ ეს თუ ის ცოდვა ჩაიდინეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში.

უსაყვედურებენ, თუ რატომ იყავი წინააღმდეგი ამიერ-კავკასიის მოხელეთა ქონება გადაგვეცა ქართველ მოხელეთა ყრილობისთვისო, როდესაც ამ კითხვის გადაწყვეტაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მას.

იურიდიული დასკვნა ამ კითხვისა მე მეკუთვნის და თუ ეს დიდი ცოდვაა, ყოველ შემთხვევაში, პასუხი მე უნდა მაგებიონ და არა მასალკინს.

მეორე ჩემი ცოდვაც მას მიაწერეს, ალბათ, იმიტომ, რომ კახიანი და მასალკინი კაი მეგობრებია და სულ ერთია, ვ ნ აგებს პასუხსაო.

მოხელე ქალი, რომელსაც „აის“-ი იხსენიებს ჩემი ნათესავია, მეტათ ღარიბი ქვრივის შვილი. მე ვთხოვე მასალკინს, თუ შესაძლებელი იქნება, დატიე მეთქი, ან და ვერ გამიგია, რათ მოიყვანა ეს საბუთად აწყრალ თანამშრომელმა. ნუ თუ ნათესავის მიღება არ შეიძლება? მე ამით ვათავებ ჩემ წერილს. დანარჩენს პარტიული სასამართლო გამოარკვევს.

პარმენ კახიანი.

## ერთი კვირა დუშეთის მაზრაში

(დასასრული)

11 ივლისი.

წილკნელებისას გვეუბნებოდნენ: პირველად მაგათ დაიწყეს არეულობა, უფროთხილდით არა გიხიმანდონ რამე—მაგრამ არც არა მაგათგან დაგვკლებია რა.

თითქმის შერიგების ნიშნად, როდესაც წილკანს მიუახლოვდით, ყანაში მომუშავეებმა რომ თვალი მოგვკრეს, ერთმა მათგანმა მოსჭრა ერთი ხელეური ყანა, მოირბინა, გადმოგვცა და გვითხრა: ღმერთი ნუ მოგაკლებთ ღვთის ბარაქასაო.

ეს პირველი სალამი იყო წილკნელებისა.

მართალია, წილკანში ცოტა არ იყოს ალმაცერად დაგვიწყეს ყურება, —ე მაინც კიდევ გადამთიელები არ იყვენ ჩვენს ასამღვრევათ მოსულნიო.

კრებაზე ჩვენ დაწვრილებით მოუყევით ჩვენი ვინაობა, აუხსენით ამ არეულობის მიზნები და ის მოსალოდნელი შედეგები, რომელსაც მოიტანდა არეულობა—თავის დროზე რომ არ მოესწრო სახალხო გვარდიას და არ შეჰბრძოლებოდა.

— ძმებო, საყვარელო მეზობლებო!—ძლივს გაგვიღიმა ბედმა, გავთავისუფლდით. ახლა ჩვენ უნდა ვამტკიცებდეთ დემოკრატიულ წყობილებას და კი არ ვებრძოდეთ ერთი მეორეს.

როგორც გველაძუა ადამიანს შეჰშურდება მეზობლის კეთილდღეობა, შეეპარება და გესლიანი ენის სავსავით ასისინებს ძმებს ერთი მეორეზე—ისე თქვენ შემოგიჩნდნენ გაქსუებულნი და ენის ტარტალით მოსცხეს ჩირქი დემოკრატიულ მთავრობას... ხალხო, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გმართებთ, რომ გაიძვერების ლათაიებმა არ გასჭრას.

ხომ გაგიგონიათ: „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“.

ასეთი ტკბილი საუბრით ჰპალავენ ისინი თავის სივერაგეს და ასე მოტყუებით სთესენ თქვენს სულში ღვარძლის ყანასა...

აბა რა სიკეთე მოგიტანეს ი „ბოლშევიკების“ ტყავში გამძვრალმა გარეწრებმა, გარდა აწიოკებისა და აფორიაქებისა.

— აი ღმერთმა ნუ ჰქნას ბოლშევიკების სახელი და ქოქი—გაისმა წყრომით ხალხში.

თოფები იმიტომ კი არ დაგირიგეს, რომ მიგემართათ იმათ წინააღმდეგ, ვინც ახლაც იმის ცდასა და ზრუნვაშია, როგორ შეუქმნას სასოფლო იარაღ-მანქანები და დააკმაყოფილოს სოფლის მოთხოვნილებანი.

ცოდვა არაა, რომ უწყალობით ბოსტნები და სიმინდის ყანები ასე აზრეტილია? ჩვენ რომ არეულობის ნაცვლად ერობები შემოგველო—უკვე შევუდგებოდით არხების გაყვანასა და მოსავალს ზღვად ვაქცევდით.

პირველად ამ კრებაზე მოვისმინეთ „ბოლშევიკი“ გლეხის აღსარება.

— მე ჩემი უბრალო სიტყვით მოგახსენებთ რატომაცა ვართ ჩვენ „ბოლშევიკები“—დაიწყო შუა ხნის გლეხმა სონკა დიაკონიშვილმა:

— თავდაპირველად ჩვენთან დაიარებოდა ერთი ქალაქელი, რომელმაც ისე გვექო და შეგვაყვარა თავისი პარტია, რომ არჩევნების დროს პირველ ნომერს თითქმის ორ ორ კენჭს უყრიდით ყუთში

არჩევნების შემდეგ ის აღარ მოსულა ჩვენს სოფელში. მერე მოვიდა მეორე, რომელიც ხან პეტრეს ირქმევდა სახელს, ხან პავლეს.

მან კაი-კაი სიტყვები გვითხრა.

— ეგ რა გიქნიათ, როგორ მიგიციათ ხმა თავად-აზნაურობის პირველ ნომრისათვის.

გლეხების პარტიის ნომერი მეხუთეა და იმ პარტიას უნდა მისდიოთო.

ვიფიქრეთ: პირველი ნომრელი რომ გადაიკარგა და აღარ დაიარება ჩვენთან ალბად მეხუთე ნომრელნი სჯობიანო.. ამასობაში ხმა გავრცელდა: თავად-აზნაურობის ჯარი მოდისო. ყოველ მხრივ გაისმოდა: მოგვეშველეთ, დაგვეხმარეთო.

ჩვენ ამოვირჩიეთ კაცები და გავგზავნეთ გასაგებად თუ რისთვის მიდიოდა ჯარი.

ფალიანის რაზმელებს მოვკარით თუ არა თვალი—ვკითხეთ: ვინა ხართ, სად მიხვალთ?—პასუხის ნაცვლად ჩამოხტნენ ცხენებიდან, საფარად ცხენებივე იხმარეს და დაგვიშინეს... ასტყდა სოფელში ღრიანცელი. დედაკაცები ტყეში გაიხიზნენ. ზოგს მუცელი მოსწყდა და ზოგს რა მოუვიდა.

ზარბაზნები დაგვიწყეს და გვითხრეს სამს საათში მთელი იარაღ შეაგროვეთ სოფელში და ჩამოგვიტანეთო... სამს საათში მარტო ასვლა-ჩამოსვლას ვერ მოვასწრობდით—არამც თუ იარაღის აყრას; ჩვენ მაინც დავთანხმდით, მაგრამ არ დაგვაცალეს სახლში მისვლა; დაგვიშინეს და რამდენიმე სახლიც კი დაგვინგრიეს.

ჩვენ როდი ვართ წინააღმდეგი იარაღის ჩამორთმევისა. რად გვინდა. თოფრევოლვერს ულელში ვერ შევაბამთ და მით ვერც სიმინდს გავთოხნით, გაგვამწარა მხოლოდ იმან, რომ მფრინავმა რაზმმა არამც თუ დაგვიშინა ზარბაზნები—ისედაც მრავალი საზიზღრობა ჩაიდინა სოფელში

აი ეს მესამე სოფელია გლეხები სჩივიან ჟორდანის მილიციაზე, ფალიანის რაზმზე და კიდევ რომელიღაც „მფრინავ რაზმზე“.

— ქლიბს ისინი არ ინდობდნენ და ნაღვიძებს თუ სადმე ბეჭედსა და ოქროულს მოაზღლებდნენ უმალ ასწაპნიდნენ..

ჩვენ უთხარით, რომ ყველა ის პირი ვისაც უგვანობა რამ ჩაუდენია სოფლად სასტიკად იქნება დასჯილი.

ვაცნობეთ აგრედვე, რომ დუშეთის მაზრაში უკვე ჩამოსულია შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული წივწივაძე, რომელიც ყოველ ზომებს მიიღებს მაზრის მოსაწყობად და მოსაგვარებლად.

12 ივლისი. დილით.

მუხრანი ყველაზე მეამბოხე სოფელია ამიტომ ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ ვცდილიყოთ მათი სიკერპე; დაუმტკიცოთ, რომ იგინი საშინლად მოტყუებული არიან, რომ მათს წინააღმდეგ ვერასოდეს გაჰბედავს წამოვიდეს შავრაზმელთა ჯარი.

ვლასა მგელაძე ხომ სიყვარულის ცეცხლითაა აპრიალებული და თვისი მჭახე, ომახიანი ხმით ელაპარაკება ხალხსა:

— რას ამბობთ, მეგობრებო, რასა?!. ჩვენ მუშებს როგორ მოგვისყიდდნენ. მთელი სიცოცხლე თავისუფლებისთვის ბრძოლაში გამიტარებია. ათასი სიცოცხლე რომ მომცა ყველას გავწირავდი მონობის უღელს კი არ ვატარებდი. განა ახლა ვიცვლიდი ნირსა?

მუხრანელი გლეხები, მიუხედავათ იმისა, რომ დიდს საყვედურს აცხადებდნენ ფალიანის და სხვა რაზმების წინააღმდეგ —მაინც მოლბნენ, მოტკბნენ ვლასას სიტყვებით და აღუთქვეს მას, რომ ერთგული ქომაგ-დამცველი იქნებიან რევოლიუციისა და თავისუფლებისა.

12 ივლისი. საღამო.

— ღმერთო, შენ დაამშვიდე ქვეყნიერება—აი რისი მავედრებელია სხვა სოფლებთან ერთად მჭადი-ჯვრის სოფელი.

— მოვალე გაჰხდეს ვინც დაიდო ჩვენი ცოდვა, გზა-კვალი აგვიბნია. გული აღარა გვაქვს სამუშაოთ ისე ვართ აწიოკებულნი.

მრავალის ჯალაბობა ჯერაც არაა ტყიდან დაბრუნებული; მრავალსაც ბოხჩები გამოკრული აქვს და ჰგონია ისევ მოუხდება სადმე გაქცევა.

ჩვენ თოფის სროლაზედაც არ გვიკარებდნენ; ბევრი მტკიცება გვჭირდებოდა დაგვეჯერებინა, რომ საშიში არ ვიყავით. ზარებსაც დიდხანს ვარეკინებდით რო მოგვეკრიფა ხალხი.

მჭადიჯვრელნი უფრო იმიტომ არიან დაშინებულნი, რომ ჰგონიათ: თავად-აზნაურობას გაუმარჯვნიაო, საცაა ამოვა მჭადიჯვრელი თავადი გოგია მუხრანსკი და გაიმეორებს იმ საშინელებას, რომელიც მან დაატრიალა 3 მაისს 1905 წელსაო.

ჩვენ ავუხსენით, რომ ვერცარას თავად-აზნაურობა გააწყობს და ვერც სხვა ვინმე, თუ მშვიდობიანობა ჩამოვაგდეთ და საზღვრები გავამაგრეთ.

მათ მთავრობას მხარი უნდა დაუჭირონ რომ შეაძლებინონ გლეხთა უფლებათა დაცვა-განხორციელება: სოფლის ცხოვრების ამაღლება, არხებისა და გზების გაყვანა, საავადმყოფოების მოწყობა, სამეურნეო მანქანების შეძენა და რაც უმთავრესია ქართულ რესპუბლიკის საზღვრების დაცვა გარეშე მტრის შემოსევისგან.

ამისთვის კი საჭიროა ხარჯები და ჯარის მოკრეფა. დღემდე სოფელი არას იხდიდა და აბა როგორ იარსებებს ამისთანა პირობებში სახელმწიფო? თუ ეს შეძლეთ მაშინ ჩვენ თითით საჩვენებელი ბედნიერები ვიქნებით.

ხალხიდან ხმა მოისმა: აი თქვენ კი იხარეთ, თქვენა! ოღონდ შეგვანარჩუნებით მიწა და თავისუფლება და ყველაფერს მოგცემთ... ჯარსაცა და ხარჯსაც. რატომ არ მოგცემთ... შერცხვეს ვინც უარი სთქვას..

გამოთხოვებისას სოფლელებმა გვთხოვეს უგზავნოთ გაზეთები, ხოლო ისეთი მარტივი ენით ნაწერი, რომ შეიძლებოდეს მისი გაგება...

13 ივლისი.

სოფ. მისაქციელთან სადგურია საქართველოს სამხედრო გზისა. გლეხებისგან გავიგეთ, რომ იქ ხშირათ ჩერდებოდნენ ხოლმე ლტოლვილი სომხის ვაჭრები, რომლებიც დასცინოდნენ სოფლელებს: აი თქვე უბედურო ტეტიებო თქვენა, ვერ მიმხვდარხართ როგორ გაგყიდათ ქართულმა მთავრობამაო.

აქაც მოვჩავლე მფრინავ რაზმზე. თათარი იმას არ გვიზამდა, რაც მათ დღე დაგვაყენეს. რა ფასი აქვს ამისთანა თავისუფლებას?!. მოსავალი მთლად გაგვიოხრდა, ყანას ვახტი წაუვიდა, სცვივა და იფშვნიტება; თივა სულ გაკეპქება ცელი აღარ ეკარება...

თქვენ ამბობთ პროვოკატორები დადიოდნენ და გვაღელვებდნენო. მერმე თქვენ სად იყავით? რატომ არ მიაქციეთ ყურადღება... იმათ ქართული არ იცოდნენ და მაინც თარჯიმანების შემწეობით გველაპარაკებოდნენ—თქვენ კი წამლადაც არავინ გაგვკარებ ხართო...

14 ივლისი დილით

გორგოთ სერის ფერდობზე გაშენებულია სოფელი წეროვანი. რას იფიქრებდა კაცი, რომ ლამაზი წეროვანი, რომელიც თითქოს განდგომია სოფლის ყაყან-გნიასს და გაშენებულია აქ მწვერვალებზე—რას იფიქრებდა თუ ვისაც ეწვეოდა ის საშინელი, მაჯლაჯუნა ძალა, რომელსაც ანარქის [illegible] ...

რას იფიქრებდა ... აშენებული წეროვანი ... თაც შეაზანზარებდა ზარბაზანთა გრიალი.

პირველი მსხვერპლი მოქალაქობრივი ომისა გამხდარა სონკა სოხაშვილის ორსართულიანი სახლი.

ყუმბარა მოჰხვედრია სახლის შუა კედელს და შეუნგრევია. .

— რაღა მაშინ მოუნდათ იარაღის აყრა როცა მუშაობა იყო გაჩაღებული განა სხვა დროს ვერ იხელთებდნენ?.. რაში გვინდა ისეთი თავისუფლება თუ კი ასე უდიერათ გაგვანადგურებენ. ოჯახი არ არის 200—300 თუმნის ზარალი არ მოჰსვლოდეს... მინდორზე ერთ ბულულ თივას ვერა ჰნახავთ, სულ შიგ ჩაიწვა. სიმინდი გაუთოხნობისგან დაიმუშლა... ყანა, ჩაიფშვნიტა.,. შიმშილობა არ აგვცდება. საქონლისთვის თივა აღარ გადაგვირჩა... იძულებული ვართ საქონელი გავყიდოთ, რომ უჭმელობით არ დაგვეხოცოსო...

14 ივლისი საღამოთი.

როგორც მკითხველი დაინახავდა ჩემი წერილებიდან ბოლშევიკების ტყავში გამძვრალს პროვოკატორებს კარგა უმუშავნიათ, გძელი ქსელი ვაუბავთ.

მათი სიძლიერე ჩვენი სისუსტისგან ანუ უყურადღებობისგან გამომდინარეობს.

ყველგან იმას გვისაყვედურებდნენ აქამდის სად იყავით, დაგვიჯეროთ არ იცოდით, რომ სოფლებში ხაჩატუროვები დაიარებოდნენო?!.

დ. თურდოსპირელი.

## ჯარის-კაცთა წერილები

ამხანაგებო,—მაღალი ხმით დაიწყო ვანომ, რომელიც მთელი პოლკის შეერთებულ მიტინგზე გამოვიდა,—ჩვენ არ უნდა ვენდოთ არავის, გარდა ჩვენისთანა ჯარისკაცებისა, რომლებიც აქ პოზიციაზე ვიტანჯებოდით ამ ომში. თუ თავისუფლებაა, ჩვენს ხელში უნდა იყოს ყველაფერი და არა ბურჟუების. დღეს არც ერთი მთავრობაც არ არის სანდო, რადგანაც ყველანი გამყიდველები არიან. ჩვენ, ამხანაგებო, გუჩკოვიც, რომელიც მინისტრი იყო, სოციალისტი გვეგონა, მაგრამ ბოლშევიკი გამოდგა და გააბძანეს მინისტრობიდან.

და აქ უნდოდა ეთქვა, კერენსკიც, გაბოლშევიკდა და ბურჟუებს მიემხრობაო, მაგრამ როცა მისმა სიტყვებმა შეგნებულ ელემენტებში საერთო სიცილი გამოიწვია, იგი შესდგა, გადახედ გადმოიხედა და გულმოსულად დაიწყო: ამხანაგებო, ხომ ხედავთ როგორ სასაცილოდ გვიგდებენ ჩვენი ძველი რეჟიმის აფიცრები და ბურჟუები. განა სანდონი არიან ესენი?

კიდევ უნდოდა ეთქვა ბევრი, მაგრამ თავმჯდომარემ აღარ მისცა ნება და ისიც ჩამოვიდა.

მისი სიტყვები შესაფერ ნაყოფს გამოიღებდა ბნელ ჯარისკაცებში, რომ ერთ შეგნებულ ჯარისკაცს, რომელიც პოლკის კომიტეტში იყო, არ აეხსნა ვანოს სიტყვების მნიშვნელობა და დაუკვირებლობა. ის კი ერთ ალაგას იდგა და თავის გასამართლებელ საბუთებს ეძებდა გუნებაში. მაგრამ რადგანაც მოწინააღმდეგე კარგი მომზადებული გამოდგა, ვანოც ველარ გამოვიდა და ვერ გაიმართლა თავი და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა: „რა უჭირს მაგათ, კომიტეტშიაც ბოლშევიკებია თავმოყრილი და აბა ჩვენ ძმებს როგორ მისცემენ საშველს? აქეთ-იქით გაიხედა და მიტინგს გასცილდა

ერთი თვის მერმე კიდევ შევხვდი ამ ამხანაგს მიტინგზე და იმ აზრის იყო, რომ ყველა აფიცრობა და კომიტეტებიც ბურჟუების მომხრე არიან და საჭიროა მათი გამოცვლაო, მაგრამ ვერც ამით ჰპოვა მომხრეები და ისევ გაბათილდა მისი აზრი.

ის სასტიკად გმობდა ბოლშევიკებს და ხშირად აფიცრებს უკიჟინებდა, რომ ბოლშევიკები ხართო. ის ვერ მიმხვდარიყო ბოლშევიკები რა პარტიას ეწოდებოდა, მაგრამ როცა ერთმა შეგნებულმა აფიცერმა მიტინგზე ყველა პარტიების მისწრაფებანი და ტაქტიკა აუხსნა ხალხს, ვანო თავისდა უნებურად მიეკუთნა „ბოლშევიკებს“.

როცა აფიცერმა აუხსნა იქ მყოფთ, რომ არის ერთი პარტია, რომელიც მოითხოვს ყოველგვარ ზავს რა პირობებშიაც უნდა იყოს შეკრული და როგორი მაზარალებელიც არ უნდა იყვეს ჩვენთვისო, ვანომ უცებ ამ პარტიაში ჩაწერის სურვილი გამოაცხადა, თუმცა კი შესწუხდა, რომ მათ ბოლშევიკები ერქვა. მან ძლიერ მოიწონა ის აზრი, რომ ბოლშევიკებს ზავი სურთ და მერე ბურჟუებთან ბრძოლაო.

მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, ვანომაც თავი აშკარად გამოაქვეყნა და როგორც ბოლშევიკი ისიც შეუდგა... სოციალური რევოლუციის მოხდენას. ის ხანა რადგანაც ბოლშევიკების ხანა იყო, მალე კომიტეტში შევიდა. დემობილიზაციის დროს სხვებთან ერთად მთელი პოლკის ქონება გაჰყიდა

და თოფ-ტყვიაში ჩამჯდარი სამშობლოს-კენ გაეშურა.

სახლში მისვლისთანავე სხვა თავის ამხანაგებთან ერთად შეუდგა „ბურჟუე-ბის“ საწინააღმდეგოთ ბრძოლას. მრავა-ლი პატარა ქალაქები გაანადგურეს მისმა თანამოაზრეებმა ვანოსთან ერთად, ბევრ ალაგას, ძლიერ ბევრი, ქონება იშოვეს და ვანომაც ნათლად დაინახა თუ რა სარფა იყო ხსენებულ პარტიისთვის მოღ-ვაწეობა.

როცა ვინმე შეეკითხებოდა, რატომ იბრძვით, რა არის თქვენი მიზანიო, ის გიპასუხებდათ, მუშათა საბჭოს ძალა-უფლება გვინდა ყველამ იწამოს და ვინც ბურჟუებია ისინი მოვსპოთო.

საქმე სანამ კარგად მიდიოდა, ვანოც ერთგულად ემსახურებოდა თავის პარ-ტიას, მაგრამ როცა დაინახა, რომ ბრო-ლოს ვერსად გამარჯვება ვერ იგემა, ვერსად ვერაფერი ვერ მოიტაცა, ბრძო-ლა კი ისევ უხდებოდა, მაშინ ის გამოე-თიშა „ამხანაგებს“ და სრულიად მოს-ცილდა მათ.

როცა „ამხანაგებმა“ აუხსნეს, რომ მი-სი მოქმედება პარტიის ღალატი იყო, ვანომ უპასუხა, რომ მიტომ ვეკუთვნოდი, რომ მეგონა ომს გავათავებთ და სახლ-ში წავიდოდით, მაგრამ ომში ეხლაც კი ვარ და რად მინდა ბალშევიკობაო.

ვანოს ასეთმა აზრმა ბევრს მის ამხა-ნაგებზე იქონია გავლენა და ბევრნი მას მიემხრნენ.

თითონ ვანომ კი აღარ იცის, რომელ პარტიას მიემხროს.

**საწყალი მუშა.**

## სააღ.-მამულო რეფორმა

**სოფ. ურიათუბანში** (თელავის მაზრა) მამულების მიმღებმა კომისიამ მიიღო შემდეგი მამულები: სამოსახლეო ნაფუძ-ვარი—4 დეს. 2,000 კვ. საჟ., ბაღნარი—2 დეს. 1,140 კვ. საჟ., სახნავ-სათესი—522 დეს. 1,113 კვ. საჟ., ტყე—680 დეს. 266 კვ. საჟ., საბალახო—1,600 კვ. საჟ., ბუჩქნარი—1,835 კვ. საჟ., სულ—1,211 დეს. და 754 კვ. საჟ. სავარგი მიწები და 23 დეს. 170 კვ. საჟ. უვარგისი. სულ მთლიანად აქ მიიღო 1,234 დეს. 924 კვ. საჟენი.

**სოფ. ქვემო ხოდაშენში** (თელავის მაზრა) კომისიამ მიიღო შემდეგი მამუ-ლები: სამოსახლეო-ნაფუძვარი—3 დეს. 458 კვ. საჟ., ბაღნარი—19 დეს. 760 კვ. საჟ., სახნავ-სათესი—218 დეს. 199 კვ. საჟ., ტყე—674 დეს. 1,168 კვ. საჟ., საბალახო—3 დეს. 610 კვ. საჟ., ბუჩქნა-რი—5 დეს. 769 კვ. საჟ. სულ მიიღო სავარგი—923 დეს. 1,574 კვ. საჟ. და უვარგისი—16 დეს. 1,430 კვ. საჟ. სულ მთლად მიიღო—940 დეს. 604 კვ. საჟ.

თელავის საადგილ-მამულო კომიტე-ტის რწმუნ. **გიორგი თევდორაშვილი.**

## ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარია-ში მოიტანეს შემოწირულება კიდევ შემ-დეგმა პირებმა: ბესარიონ მალაქიას ძე ჭეიშვილმა ერთი პატარა ოქროს ბეჭე-დი, რუსული ვერცხლის ფული 40 კაპ., რუსული სპილენძის ნახევარ კაპ, თათ-რული ვერცხლის ფული 1 და ერთიც თათრული უბრალო პატარა ფული; ხუ-ცოთმოძღვარმა სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილმა ვერცხლის სურა ორი, ჭი-ქა ვერცხლის თავსახურიანი ერთი, ვერ-ცხლის საჭიქე ერთი, ვერცხლის ჭიქა ერთი, ერთი სპილენძის დიდი მედალი სულ წონით 3 გირვ. და 9 მისხ.; პოლ-კოვნიკმა გერასიმე ქავთარაძემ: ანნა მე-ორე ხარ. 1 და ვლადიმერი მეოთხე ხარ. 1; მარიამ იასონის ასულმა იაქა-შვილმა სამი გირვანქა რუსული სპილენ-ძის ფული; გიორგი ალექსანდრეს ძე მარტიაშვილმა: რუსული ვერცხლის ფუ-ლი 9 მან. და 35 კ. და ერთი ვერცხ-ლის მედალი; გიორგი ხუციშვილმა სპარსული ვერცხლის ფული; პოდპორ. იოსებ კაჭახიძემ სტანისლავა მესამე ხარ. ერთი; მამუკა ივ. ორბელიანისაგან: ორი ვერცხლის მედალი, სამი სპილენძის მედ-ლები, მათგანი ორი სულ პატარა, სამი პატარა ხატები-მედალიონი ვერცხლის წონით 1 მისხ. და 42 ნაწ.; ბეითალმა კოტე მიხეილის ძე ფარეიშვილმა 1 სტან. მესამე ხარ. ერთი.

P. S. ვასწორებთ უნებლიეთს შეცდო-მას: დიმიტრი მიხეილის ძე ბახტაძის მიერ სხვადასხვა ნივთები თვით მისგან-ვე შემოწირული და არა მისი ქალის მიერ შეგროვილი, როგორც შეცდომით გვქონდა გამოცხადებული.

## მუშათა შორის

ამ დღეებში რკინის გზის მოსამსახუ-რეების შტატი შეამცირეს, რამაც, რა თქმა უნდა, აუარებელი მოსამსახურეები დატოვა სამსახურს გარეთ. შტატის შე-მცირების მიზეზები მრავალია და მე არ შევუდგები ყველა მათ ჩამოთვლას.

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს და-თხოვნილი მოსამსახურენი ყველა არა-საიმედო ყოფილიყოს და ან უვარ-გისი სამსახურისათვის. წარმოების შეწყ-ვეტა-დარღვევამ და მოძრაობის შემ-ცირებამ აუცილებელი გახადა მოსამსა-ხურეების შტატი შემცირებულიყო, რა-მაც გამოიწვია ჩვენი ზოგი საუკეთესო ამხანაგების დათხოვნაც. წინააღმდეგ წარმოუდგენელი იყო, რადგან მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსა-ხურეებს საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზა ვერ დაიტევდა და ვერც მისგან გამოწვეულ ხარჯებს გაუძლებდა, მით უმეტეს დღეს, როდესაც წარმოება ასე აწეწილ-დაწეწილია და რკინის გზას არავითარი შემოსავალი არ აქვს. ის ბნელი ელემენტები, რომლებიც აქამდე აწყობდნენ თავის უწმინდურ საქმეებს რკინის გზაში, ეხლა, როცა დათხოვნილი არიან, უფრო გააძლიერებენ თავის მავნე აგიტაციას დემოკრატიული მთავ-რობის სახელის ხალხის თვალში გასა-ტეხათ. მაგრამ მათ შეგნებული ამხანა-გები არ აჰყვებიან. მათგან ეს არაა გა-საკვირველი, მხოლოდ ჩვენ გვაწუხებს ის, რომ, ვაი თუ დემოკრატიის იმ ნა-წილმა, რომელიც დღეს სამსახურიდან დათხოვნილია, ვერ გაუწიოს ანგარიში დღევანდელ მდგომარეობას და მოტყუე-ლებით ან პროვოკაციის საშუალებით ამოუდგნენ გვერდში იმ მოღალატეებს, რომლებიც სულ მუდამ იმის ცდაში იყვნენ და არიან დღესაც, რომ რამენაი-რათ ანარქიის საშუალებით რევოლიუ-ცია და ჩვენი რესპუბლიკა დაასამარონ.

ჩვენ, სანაინის რაიონის მოწინავე ამ-ხანაგები, მივმართავთ რკინის გზის ცენტრ. ელმ. ორგანოს შემდეგით:

1) ენერგიულ შუამდგომლობა საქართვე-ლოს დემოკრატიული მთავრობის წინა-შე, რაც შეიძლება მეტი დახმარება აღ-მოუჩინოს დათხოვნილ იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩვენ თან მუშაობდნენ და მუ-შაობენ ეხლაც რევოლიუციის სასარგებ-ლოთ.

2) დაარსოს ბიურო, რომელსაც დაე-ვალება ყოველივე დახმარება აღმოუჩი-ნოს დათხოვნილ ამხანაგებს, რომ ისინი იქნენ მიღებული სამსახურში, როდესაც და სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

ამხანაგების მინდობილობით

**პროკოფი ინწკირველი.**

## პროვინცია

**ხონი.** წმიდა გიორგის სახელობაზე აქ არსებული საყდარი უძველესი და სახელგანთქმულია მთელ მხარეში. ეს ეკლესია ერთ დროს მიწა-წყლითაც მდი-დარი ყოფილა—ოქრო ვერცხლით ეხ-ლაც შეუძლია დაიკვეხოს,—მარა დღეს სხვადასხვა გარემოებათა მეოხებით ერთ მეოთხედ მიწას თუ შეიცავს მისი შემოზღუდული გალავანი. სასწაულთ მოქმედი და ფათერაკთაგან სხვისი დამ-ცველი ხატი საკუთარ ქონების დაცვაში ერთობ უძლური გამოდგა და მისი ადგილ-მამული ნელ ნელა მიუთვისებიათ სხვადასხვა პირებს—ძლიერთ ამა ქვეყ-ნისა—ზოგი მღვდლებს და ზოგი კიდევ ვის. მაგ., კორ. ქავთარაძეს რაღაც მა-ხინაციებით მიუთვისებია საეკლესიო მი-წის საუკეთესო ნაჭერი, რომელიც დღეს ქალაქს სჭირდება გიმნაზიის შენობის ასაგებათ, მაგრამ ეს გვამი იმდენათ გა-კადნიერდა, რომ საზოგადოებას საყიდ-ლათაც არ აძლევს მიწას და ერთხელ დადებულ პირობას დარღვევას უპირებს. ამბობენ მღვდლებსაც აქვთ მითვისებული მიწა, დიმიტრი ჩხიკვიშვილმაც მხოლოდ იმ საბუთით მიისაკუთრა ქალაქის მიწა, რომ სამართალში განაცხადა: ნიგოზს ამ ალაგზე მე ვბერავდი 10 წელია და ხარებსაც იქ ვაბამდიო. ერთის სიტყვით, ბევრს მოუთბია ხელი. ასეთ რიცხვშია გამორეული აწ განსვენებულ ჩვენი სა-სიქადულო პუბლიცისტის ილია ხონე-ლის (ბახტაძის) მამა მღვდელი ლუკაც, რომელსაც შესაფერისი თხოვნით მიუ-მართავს ყოფილ მეფისთვის—ნიკოლო-ზისთვის—ესა და ეს ნაჭერი მიწა სა-ჩუქრად მიბოძეო. ნიკოლოზსაც იმდენი გულმტკივნეულობა გამოუჩენია, რომ მღვდლისათვის სხვისი ქონება—სახაზი-ნო მამული—უჩუქებია. აი რას ვკით-ხულობთ შესაფერ დოკუმენტში: Отъ 15 мая 1897 г. за № 274. Госп. управл. Государ. имущ. Кут. губ. Государь Императоръ въ 21 день апрѣля с. г. высочайше повелѣть соизволилъ предоставить св. Лукѣ Бахтадзе въ собственность арендуемый имъ участокъ казенной земли, площадью 802 кв. саж. в. м. Хони, Кут. губ. და სხვა. ეს მიწა საუკეთესო ადგილზეა ხონში და მიმთვისებელსაც კარგად მოუწყვია: შენობა აუგია შიგ და სხვ.

წელს, როცა ხონს საქალაქო თვით-მმართველობა ეღირსა და მიწების სა-კითხიც გადასინჯულ-გადმოსინჯულ იქ-ნა, ხალხში თავისთავად დაიბადა ყრუ პროტესტი ყველა იმ პირთა მიმართ, რომელთაც ასე უსამართლო გზით ჰქონ-დათ დატაცებული საზოგადო ქონება. ხალხის მიერ არჩეულმა კომისიამ გამო-არკვია, რომ მღ. ლ. ბახტაძის მემკვიდ-რეებს უკანონოდ ჰქონდათ ეს ადგილი მითვისებული და გამოკვლევის მასალა—მოწმეების ჩვენებით,—გადასცა ქალა-ქის თვითმმართველობას, რომელიც შე-უდგა მამულის კანონიერათ დამტკიცე-ბის საქმეს. მღვდლის მემკვიდრენი სა-პასუხოდ არსად გამოცხადებულან, ისინი თურმე სხვა გზით მიდიოდნენ და ეს გზაც ამ ბოლო დროს გამოირკვა, რო-ცა ჩუმად ბანკიდან დაურჩენიათ ეს ად-გილი. თურმე დაგირავებულ ქონებიათ გროშის ფასად და ამ დღეებში ჩუმათ მოკვარახჭინებულ საჯარო ვაჭრობაზე ასი ათასი მანეთის მამული 6 თუ 7 ათასში დაურჩენიათ და ამნაირად ერთი საბუთისთვის ვითომ მეორე დაუმატე-ბიათ, ქალაქ ხონს კი პირში ჩალის გა-მოვლებას უპირებენ.

მღვ. ბახტაძის მემკვიდრე არის ილიას ძმა ლუკა ლუკას ძე ბახტაძე, ვექილი, რომელსაც თფილისშიაც კარგათ იცნო-ბენ, ის საზოგადო მოღვაწეთაა მიჩნეუ-ლი და ერთ დროს გაზეთსაც კი სცემ-და; ვფიქრობთ, პროგრესიული პიროვ-ნებაა და გვიკვირს, როგორ ეთანხმება მისი ზნეობა ასეთ რამეს. განსვენებული მამამისი ძველი კაცი იყო, მას შეეძლო მეფისაგან საჩუქრის მიღება, მარა რო-გორ ეგუება ამას ლუკა ლუკას ძის პსი-ქოლოგია! ნიკოლოზს ხომ თავისი კერძო საკუთრება არ მიუჩუქებია განსვენებულ ლუკასთვის, მან უკანონოთ გაჩუქა ხალ-ხის ქონება.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ლუკა ლუკას ძე არ შეურაცყოფს ჯერ ხალხის უფლებას, მერე მამის ხსოვნას და ქალაქს რაინდულად დაუბრუნებს მამულს. ხონის დემოკრატიას უყვარს და აფასებს ილია ხონელს, ის პატივსაცემ პირებათ სთვლის განსვენებულის ნათე-სავებსაც და დაე, ნუ მოიმოქმედებენ უკანასკნელნი ისეთ რამეს, რაითაც ბრწყინვალე ადამიანის ხსოვნას მამის ცუდათ ხსენებით რამე ჩრდილი მიად-გეს.

**ვ. ხ—ე.**

---

**კახეთი.** პური უკვე იმკება. მოსავა-ლი საშუალოზე მაღალია. სიმინდს, ფეტვს და ვენახებსაც კარგი პირი უჩანთ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მთელს სოფლებს მოსდებია სპეკულიაციის ჭირ-ლი. აუარებელ ხორბალს და ქერს იკვე-თავენ, ყიდულობენ და ნაწილ-ნაწილ გააქვთ—ზოგი ქურდულად და ზოგიც სადგურების უფროსებთან „კერძო მო-ლაპარაკებით“. სპეკულიანტები მომე-ტებულად სომხებია, არიან ქართველე-ბიც. საჭიროა თავის დროზე ზომები ამ სპეკულიაციის მოსასპობად. თანაც ყიდვის დროს უმატებენ, თურმე: გშურს განა ქაღალდის ნაგლეჯები, ჩვენ თვი-თონ ვბეჭდავთო. სოფ. ველისციხეს მო-აწყდა აუარებელი გამოქცეული და აბა-მენ პროვოკაციის ქსელს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. „მოი-ბალშევიკებენ“. ამასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ისიც სასწრაფოდ, რომ არ მოიწამლოს ატ-მოსფერა. სახელმწიფო (საუფლისწულო) მამულები ძლიერ დაუმუშავებლებია, ბალახი და შეწამლვა ვერ ხერხდება სა-თანადოთ და თავის დროზე. აქაც შე-მოღებულია რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ, ჩვენის აზრით, მეურნეობაში, სა-დაც საჭიროა ინტენსიური მუშაობა ზაფ-ხულობით და გაზაფხულობით, არ არის საკმაო რვა საათი, საჭიროა რამე ზო-მები, რომ მამული არ გაპარტახდეს და არ დაეცეს მიწათ-მოქმედების სამინის-ტრომ უნდა მიაქციოს ყურადღება და მოაგვაროს სასურველად საქმე ამ დარგ-ში. მუშა ხელი ნაკლებია და ზღაპრუ-ლად ძვირი.

**ლ.—რი.**

---

**გორი ხაშური.** 12 ივლისს მთავრო-ბის განკარგულებით ჩვენ გავემგზავრეთ სადგურ ხაშურში, № 1 ჯავშნიანი მატა-რებლით, რომლის დანიშნულებასაც შე-ადგენდა ხაშურიდან გორამდის წესიერე-ბის დაცვა. უფრო ხშირად ჩვენ გვიხდე-ბოდა დგომა სადგურ გომში, რადგან იქ მოდიოდა ხმა, რომ ახლო მდებარე სოფ-ლებში პროვოკატორები დაძრწიანო. მისვლისთანავე ბოროტმა პირებმა გა-ავრცელეს ხალხში ხმა, თითქოს ჯავშნი-ანი მატარებელი მისულიყოს იქ თავად-აზნაურობის დასახმარებლად, რომ გლე-ხებისგან აეკრიფათ მიწის ღალა და სხვა ასეთები. ამიტომ ჯავშნიანის ხელმძღვა-ნელმა ამხანაგმა ხუნგიამ მოიწვია ადგი-ლობრივი კომისარის დახმარებით საზო-გადო კრება, კვირას, 14 ივლისს, რომ ხალხისთვის აგვეხსნა ჩვენი აქ მოსვლის მიზანი. მიუხედავათ იმისა, რომ კრების მოსაწვევათ ყოველივე ზომები იყო მი-ღებული, ბოროტმა პირებმა აქაც იშო-ვეს სალაპარაკო და ხალხს ეუბნებოდენ, რომ იქ მიგიტყუებენ და მერე დაგხვრე-ტავენო, პროვოკაციამ საკმაოდ გასჭრა და ხალხი ნაკლებათ დაესწრო, მაგრამ კრება მაინც შესდგა, რომელსაც დაესწ-რო გომის რაიონის კომისარი და ამხ. ნიკო სიხარულიძე. კრება გახსნა ამხ. ვ. თავზერიძემ. მოუწოდა დამსწრეთ ეთქვათ აქ კრებაზე რაში გამოიხატებოდა მათი უკმაყოფილება. პირველათ ილაპარაკა ნიკო სიხარულიძემ მან გააცნო ხალხს, რა ბოროტებას სჩადიან ისინი, რომელნიც ავრცელებენ ასეთ ხმებს და კიდეც მიუთითა ერთი იქ მდგომ ოსზე, რომელიც თითქოს იდეურ მოწინააღმდეგეთ გამოდიოდა. აუ-ხსნა ხალხს ვისგან შესდგება ჩვენი მთავ-რობა, ვინ არიან გვარდიელები და სხვა, შემდეგ ილაპარაკა ამხ. თავზერიძემ, რო-მელმაც აუხსნა დამსწრეთ ჯავშნიანის მნიშვნელობა და თუ რასამსახური გაუ-წია ჯავშნიანმა მატარებელმა ხალხს და რევოლიუციას; მან უთხრა, რომ მართა-ლია ჩვენ გვარდიელები, მივდივართ ია-რაღით ხელში, ყველგან იქ, სადაც ჩვენი დემოკრატიული მთავრობა მოითხოვს რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავა-თო, მაგრამ უპირველესი იარაღი ჩვენი არის სიტყვა, რომლითაც გვინდა ჩვენს ნაკლებ განვითარებულ ძმებს სიმართლე ვუთხრათ. და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ სიტყვით მივაღწიოთ საერთო მიზანს და ჩვენს ძმურ გაშვერილ ხელს იარაღით შეხვდებიან, მაშინ ლაპარაკს თავს და-ვანებებთ და ილაპარაკებენ ჩვენი ზარ-ბაზნები, რომელსაც შეიძლება ის შე-დეგები მოჰყვეს, რაც მოჰყვა ცხინვალ-ში, დუშეთში, საჩხერეში და სხვაგანო. ამიტომ მოუწოდა მან, რომ არ აყოლო-დენ პროვოკატორებს და არ გამოეწვიათ ძმათა სისხლის ღვრა; კრება დასრულდა და ჩვენც გავემგზავრეთ ხაშურში. სწრა-ფი ზომების მიღებაა საჭირო, რომ ეს რაიონები გაიწმინდოს ნაძირალებისაგან.

**ლავრენტი გეგეჭკორი.**

## წერილი რედ. მიმართ

დიდათ პატივცემულო, მოქალაქე რე-დაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: „ერთობაში“ ამ უკანასკნელ დღეებში იბეჭდება ისეთი წერილები, რომლებიც მე ჩირქსა მცხებენ, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის კომისარის თანაშემწეს. ვინაიდან მე ამ თანამდე-ბობაზე დანიშნული ვარ პარტიის პა-სუხისმგებელ ხელმძღვანელის მიერ, სა-მართლიანად მეგონა ჩემი მოღვაწეობის დაფასება წინასწარ მოხდებოდა სხვა ალა-გას და სხვა საშუალებით. იმ საშუალე-ბისთვის მიმართვა, რომელიც მოქალაქე აისმა აირჩია, შეიძლებოდა მხოლოდ სა-ქმის ზედმიწევნითი გამოძიებისა და „ერთობის“ მე-142 და 147 ნომრებში მოყვანილ ბრალდებებში თუ ვიქნებოდი დამნაშავე. ამ ჟამად არა მაქვს რა სურ-ვილი პოლემიკისა, ვთხოვ „ერთობის“ რედაქციას გამოააშკარავოს აისის ფსევ-დონიმი, ავტორის პასუხისგებაში მისა-ცემად.

**არ. აგარონოვი.**

თფილისი, 19 ივლისი, 1918 წ.

**რედაქციისაგან:** ბ. აგარონოვი გვთ-ხოვს კორესპონდენტის გაცემას. მან უნდა იცოდეს, რომ რედაქცია დამცველი გან-ყოფილება არ არის, რომ თავის თა-ნამშრომლები გასცეს. იგი თვითონაც აგებს პასუხს თავის მოქმედებაში. იქვე ბ. აგარონოვი თავს იქებს იმით, რომ პარტიის ხელმძღვანელებმა დამაყენეს ამ ადგილზეო. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ეს მართალია, მას ბოროტათ უსარგებ-ლია პარტიის ხელმძღვანელთა ნდობით და ახლაც, რაც ჩვენ მისი ცუდი საქციე-ლი ვამხილეთ, ბოროტათ ცდილობს მათ სახელს ამოეფაროს. რიგიანი ადამიანი არც კი იკადრებდა პარტიის ხელმძღვა-ნელს ამოფარებოდა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელი მას წინეთ ნდობით მოეპყრო. ამას თუ და-ვუმატებთ იმასაც, რომ იგი სისხლის სამართალით იმუქრება, ყველა ეს საკმაო დამახასიათებელი იქნება მკითხველის-თვის აგარონოვის ფიზიონომიისა.

---

**ბათუმიდან და ქობულეთიდან გადმო-ხვეწილთა საყურადღებოთ.**

გურიის დაზარალებულთა კომიტეტის ლანჩხუთიდან ოზურგეთში გადმოსვლის დროს თქვენ შეგვეკითხეთ, თუ როგორ იქნებოდა მომავალში თქვენი დახმარე-ბის საქმე. მე გიპასუხეთ, რომ ვეცდე-ბოდით ყველაფერს რაც კი შესაძლებე-ლი იქნებოდა. თქვენ უეჭველად ელო-დებოდით დანაპირების ასრულებას, მაგ-რამ თანახმად გუბერნიის მთავრობის განკარგულებისა მდგომარეობა ჩვენი ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ, შეიც-ვალა. საჭირო დარჩა მხოლოდ დაზარა-ლებულთა რაიონის კომიტეტი შემდგა-რიყო, რაიც კიდეც მოხდა. (დაზარალე-ბულ რაიონებად აღიარებულ იქნა ის ადგილები, სადაც მტრის ჯარი იდგა) შემდეგ გუბერნიის კომისარის განკარ-გულების თანახმად მივნდო ლანჩხ. ქა-ლაქის თავს ხელმძღვანელობა გაეწია ლანჩხუთისა და სუფსის რაიონში მყოფ გადმოხვეწილებისათვის, რომლებსაც მიე-ცემოდათ დამოუკიდებლათ ყოველივე დახმარება. ამის გამო ცხადია ჩემი და-პირების შესრულება იმ ფორმით რა სა-ხითაც წინეთ გეხმარებოდით აღარ შე-იძლებოდა. ეხლა უკვე არსებობს ლანჩ-ხუთში გადმოხვეწილთა კომიტეტი, რო-მელიც ყოველივე დახმარებას სურსათით თუ ფულით მიაწვდის ამ ორი რაიონის გადმოხვეწილთ.

იმედი გვაქვს ყოველივე გაუგებრობას, რასაც დღემდე ადგილი ექნებოდა თქვენ-ში, დღეიდან გასაგები იქნება და მით დანაპირების შეუსრულებლობის მიზე-ზათ ჩვენ აღარ ჩაგვთვლით.

პატივისცემით **გრ. კოპლატაძე.**

---

P. S. ყოველივე დახმარებისა თუ სხვა ცნობების მისაღებათ უნდა მიმართოთ ლანჩხუთის ქალაქის თავს.


## განცხადება

თფილისის საქონლის სადგ. გაზ. „ერთო-ბის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ვისაც გასული თვე-ების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ დაუყოვნებლივ გადაიხადონ, წინააღმ-დეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეუ-წყდებათ და მათი ვინაობა გაზეთში იქ-ნება გამოცხადებული. საჭიროა აგრეთ-ვე ხელის მომწერლებმა 1 აგვისტოდან თვიური ფასი წინდაწინვე გადაიხადონ. (4—1) პატივისცემით **საშა ჩიგოგიძე.**

## განცხადება

დავკარგე სადგ. სამტრედიიდან თფილი-სამდე მოგზაურობის დროს მატარებელ-ში მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით, მოცემული რკ. გზის სამმართველოსაგან, ს. დ. მ. პ. ბილეთი № 1022, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების ბი-ლეთი და სხვადასხვა კვიტანციები. მნახველს ვსთხოვ გადმომიგზავნოს თფი-ლისის საქონ. სადგურში ოლიფანტე ნი-კიფორეს ძე ქუნთელიას. (1—1)

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფი-ლისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექ-ტი № 116, სასტუმ რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

## კერძო მიხეილის სამკურნალო

მუდმივი ლოგინებით. ავმდმყოფების მი-ღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დი-ლის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბა-ღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიე-ვის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნი-ვერსიტეტის შინაგანი, ბავშვთა, სიფილი-სის და საშვილოსნო სნეულებით ავათმყოფთ იღებს ყოველდღე დილით 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყო-ველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთი-აქის გვერდით.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათ-მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი გ. კლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კირო-ჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყო-ველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერ-სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქი-რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ბავშვურ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარი-გებას. სიფილისის წამლობა ახალი მე-თოდებით. დილის 10—12 ს. და საღა-მოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 83. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციე-ბა) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილ-ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეუ-ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღა-მოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მი-სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთი-აქის ცერეთელის ეკონომიურ საზ. შენობის პირ-დაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვა-ლის კლინიკის ყოფილი ასისენტის
## ექიმ დონხინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატო-გრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყო-ფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

ოზურგეთის სავაჟო გიმნაზიისთვის საჭიროა
## გერმანული ენის მასწავლებელი
რომელმაც უნდა აიღოს რამოდენიმე გაკვეთილი რუსულ ენაშიც.
## თხოვნები დოკუმენტებით მიიღება
ამ მისამართით: ქ. ოზურგეთი. გიმნაზიის გამგეს ილია ცეცხლაძეს. (3—1)

## განცხადება

ცხადდება ყველას საყურადღებოთ, რომ საქართველოსთან საქონლის გაცვლის ხელის შესაწყობათ, ევალება ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გამცვლელ კომიტეტს, მოახდინოს აღრიცხვა საქართველოს ტერიტო-რიაზე არსებულ სპილენძის რაოდენობისა.

ამის გამო, ყველა დაწესებულებათ და პირთ, რომელთაც მოეპოვებათ საქარ-თველოს ტერიტორიაზე 50 ფუთი ან მეტი ნაჭრობრივი, ფურცლებათ და მავთუ-ლებათ სპილენძი, ევალებათ ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გამცვლელ კომიტეტში (ქ. თფილისი ჭავჭავაძის ქუჩა, № 2.) ნამდვი-ლი ცნობები შესახებ სპილენძის რაოდენობისა, საწყობის მდებარეობის და სპი-ლენძის პატრონის გვარის აღნიშვნით. თუ ვისმეს ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმოაჩნდება ნაჭრობრივი, ფურცლათ ან მავთულებათ სპილენძი იგი სახელმწი-ფოს სასარგებლოთ იქნება ჩამორთმეული შეფასების ღირებულებას 50 პროც. და-კლებით მისი პატრონი კი სამართალში იქნება მიცემული 29 მუხლის სახ. წეს-დების ძალით.

## ერიდეთ ხოლერას, სვით ბორჯომის წყალი

ვისაც თავი და თავის ოჯახი უყვარს უნდა ერიდოს უბრილო და სხვადასხვა ხილეულობის წყლის (ლიმონათის და კვასის) სმას, ვინაიდან უმრავლესობა ამ წყლებისა გადაუდუღებელი წყლისაგან მზადდება, და ყველა ეს წყლები ავრცე-ლებენ ხოლერისა და ტიფის „ვიბრიონებს“ (ბაცილებს).

რომ აირიდოთ ტიფი და ხოლერა მოითხოვეთ ყველა გასართობებში და სა-კონდიტეროებში, აგრეთვე შეიძინეთ ოჯახში უბრალო მავნებელი წყლის მაგიერ „ბორჯომის წყალი“.

**მთავარი საწყობი იმყოფება ბორჯომში.** (10—3)

## კავკავის. ქართული სკოლისათვის

**საჭიროა სამი მასწავლებელი.** მასწავლებელს წლიური ჯამაგირი ექნება 3600 მანეთი.

მსურველთ თხოვნა საჭირო დოკუმენტებით უნდა წარუდგინონ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას, ან კავკავის განყოფილების გამგეობას, კავ-კავი, ქართული სკოლა, გამგეობას. (3—2)


**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სე-კრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყო-ველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რე-დაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტე-ბის ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**